

PEN / IRL -ის ანგარიში ლიტერატურული თარგმანის საერთაშორისო მდგომარეობაზე ესთერ ალენი

წინასიტყვაობა - პოლ ოსტერი

შესავალი - ესთერ ალენი, კარლს ტორნერი
თარგმანი, გლობალიზაცია და ინგლისური ენა - *ესთერ ალენი*

1.1 ინგლისური, როგორც დამპყრობელი ენა

1.2 მსოფლიო ლიტერატურა და ინგლისური

ლიტერატურული თარგმანი: საერთაშორისო პანორამა - სიმონა სკრაბეცი, 12 ქვეყნის PEN
ცენტრები

2.1 პროექტები საზღვარგარეთ

2.2 თანხმობა თარგმნილ მხატვრულ ლიტერატურაზე

დასკვნა: სიმონა სკრაბეცი

წინასიტყვაობა

პოლ ოსტერი

დოსტოევსკი, ჰერაკლიტუსი, დანტე, ვირგილიუსი, ჰომეროსი, სერვანტესი, კაფკა, კიერკეგარდი, ტოლსტოი, ჰოლდერლინი და სხვა პოეტები და მწერლები, რომელთაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე, ამერიკელზე, ვისი ერთადერთი უცხო ენაა ფრანგული. მათი წაკითხვა, აღქმა და შემეცნება მოხდა თარგმანის მეშვეობით. მთარგმნელები არიან ჩრდილში მყოფი მხატვრული ნაწარმოების გმირები, ხშირად დავიწყებული ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ესაუბრებიან ერთმანეთს, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ ყველა ვაანალიზებთ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ცხოვრების მიუხედავად ყველანი ვცხოვრობთ ერთ სამყაროში. დიდი სიამოვნებით მივესალმები და მადლობას გადავუხდის ყველა მთარგმნელს, ქალბატონებს თუ მამაკაცებს, რომლებიც უანგაროდ შრომობენ, რომ გააცოცხლონ მხატვრული ნაწარმოებები ყველასათვის.

შესავალი

ესთერ ალენი

ლიტერატურული თარგმნის ცენტრი, კოლუმბიის უნივერსიტეტი, ნიუ-იორკი

კარლს ტორნერი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილება, რამონ ლულის სახელობის ინსტიტუტი, ბარსელონა

„რიჩარდ II“ I მოქმედების III ნაწილში ნორფოლკის ჰერცოგი გააძევეს ინგლისიდან, გადაასახლეს, რომ უკან არასოდეს დაბრუნებულიყო. უცნაურია, მაგრამ ამ საშინელი განაჩენის მოსმენისას მისი პირველი ფიქრი დაკავშირებული იყო არა ოჯახთან და მეგობრებთან, არამედ ინგლისურ ენასთან, იმ ერთადერთ ენასთან, რომელზეც ის ლაპარაკობდა ორმოცი წლის მანძილზე. ინგლისის დატოვება მისთვის 1595 წელს ნიშნავდა ინგლისურ ენასთან განშორებას. ის ფიქრობდა, რომ სხვა ქვეყანაში ჩასვლის დროს მისი მეტყველება იქნებოდა გაუგებარი, მისი ყოველი სიტყვა ბუნდოვანი, ხოლო მისი ასაკი ხელს შეუშლიდა ახალი ენის ათვისებას.

400 წლის წინ დაწერილი შექსპირის ამ სტრიქონების შემდეგ ნორფოლკის „გოდება“ დღესდღეობით სრულიად კარგავს აქტუალობას, რადგან ინგლისურენოვან ადამიანს მეტი შანსი აქვს რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უკეთესად გაუგონ, ვიდრე რომელიმე სხვა ენაზე მოსაუბრეს. პირიქით დღეს ის ვინც არ ლაპარაკობს ინგლისურად ის არის გამონაკლისი არა მხოლოდ სოციალურად ასევე ეკონომიურად, რადგან გლობალურ ეკონომიკაში თავის დამკვიდრება შეუძლებელია ინგლისური ენის გარეშე.

1921 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც PEN კლუბი (მწერალთა კლუბი) დაარსდა ლონდონში, მისი მთავარი საზრუნავი გახდა ადამიანთა ნააზრევის ტრანსმისია ლინგვისტური და ეროვნული საზღვრების გავლით. „ეროვნული ლიტერატურა არ სცნობს საზღვრებს და მისი გავრცელება უნდა ხდებოდეს ერებს შორის პოლიტიკური თუ საერთაშორისო ძვრების მიუხედავად.“- ასე იწყება PEN-ის პირველი სტრიქონი და გრძელდება: „PEN ერთგული რჩება პრინციპისა, რაც გულისხმობს ნააზრევის დაუბრკოლებელ ტრანსმისიას თვითეულ და ყველა ერს შორის...“ ამ სულისკვეთებით საერთაშორისო PEN-მა და რამონ ლულის სახელობის ინსტიტუტმა ბარსელონაში მწერალთა, მთარგმნელთა, თარგმნის სფეროში კულტურის დიპლომატთა და სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად მოამზადა ეს საანგარიშო

მოხსენება, რათა ერთად მოვიფიქროთ, თუ რისი გაკეთება შეიძლება ძველი მხატვრული ლიტერატურის უკვდავსაყოფად და ასევე ხელი შევუწყოთ ლიტერატურული ნაშრომების თავისუფალ მიმოქცევას მსოფლიო მასშტაბით. ირლანდიელი მწერლის კოლმ ტოიბინის პერეფრაზირებით რომ ვთქვათ, ეს იმ დროს, როცა მსოფლიოს უმდიდრესი ენა, ინგლისური, ამავდროულად არის გაღარიბებული, როდესაც საქმე ეხება ლიტერატურული სიმდიდრის მიღებას, რომელიც არსებობს მის მიღმა“. იმის მაგივრად, რომ მოიქცეს, როგორც ჭეშმარიტი *lingua franca*, ანუ საკომუნიკაციო ენა და გააადვილოს სხვადასხვა ენებს შორის ურთიერთობა, ინგლისური ენა ხშირად იგნორირებას უკეთებს ყველაფერ იმას, რაც არ არის ინგლისური.

ეს ანგარიში იწყება ინგლისური ენის უპრეცედენტო გლობალური კომპეტენციის შეფასებით და ინგლისურენოვან ქვეყნებში, კერძოდ აშშ-ში მხატვრული ნაწარმოების თარგმანის დღევანდელი მდგომარეობით, რაც განხილულია პირველ თავში. მეორე თავში იხილავთ PEN ცენტრების მიერ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული გამოკითხვის პასუხების კომენტარებს ლიტერატურული თარგმანის შესახებ. შემდგომი შედარებისთვის მესამე თავში აღწერილია ექვსი საქმე (*case studies*) მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან იმის საჩვენებლად თუ რას ნიშნავს „თარგმნის ეკონომიკა“ თვითივე რეგიონში: ნიდერლანდების, არგენტინის, კატალონიის, გერმანიის, ჩინეთის და საფრანგეთის მაგალითზე. შემდეგ თავში, სადაც განხილულია მხატვრული თარგმანის გამოცდილებები, აღწერილია რამდენიმე PEN ცენტრის წარმატებული ინიციატივები, რაც გამოიხატება მეტი თარგმანის საჭიროებაში ინგლისურ ენაზე, ასევე სხვადასხვა ინსტიტუტების, როგორც სახელმწიფო ასევე კერძო, მნიშვნელოვანი ძალისხმევა ამ მიმართულებით. დაბოლოს დასკვნით ნაწილში ანგარიშის მთავარი საკითხების შეჯამება და მსოფლიოში მხატვრული თარგმანის დღევანდელი სიტუაციის მიმოხილვა. სამი ცნობილი მწერლის პოლ ოსტენის, ნარცის კომადირას და ნგუ-გ-ი ვა თიონგის დიდი წვლილის შედეგია, რომ ეს ანგარიში გამოხატავს ლიტერატურულ სიღრმეებს და არ არის უბრალოდ ტექნოკრატიული დოკუმენტი. ჩვენი გულითადი მადლობა იმ კეთილშობილ ადამიანებს მსოფლიოს მასშტაბით, ვინც მონაწილეობა მიიღო შეხვედრებში, კონფერენციებსა და არბიტრთა დისკუსიებში ამ ანგარიშის შედგენისას და რომელთა ენერგია, განსწავლულობა და ერუდიცია დიდად დაგვეხმარა: მარკ დუნას, ლერი სიმს, კეროლინ მაკკორმიკ, კატია კულავკოვა, რობერტო კალასო, ელიზაბეტ პელერტ, ამანდა ჰოპკინსონ, რეიმონდ ფედერმან,

ბორის აკუნინ, სტივ ვასერმან, სონია გარსია, მისია სერტ, იანა გენოვა, ალექსანდრა ბუჩლერ, ქეით გრიფინ, სირი ჰუსტვედტ, მა ჯიან, ფრანჩეზ პარსერიზას, დავიდ დამროშ და ღირსსახსოვარი იაელ ლანგელა.

1. თარგმანი, გლობალიზაცია და ინგლისური ენა

ესთერ ალენი

1.1 ინგლისური, როგორც დამპყრობელი ენა

ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა რაოდენობის მაჩვენებელი რიცხვი ცვალებადია, ხოლო იმ ადამიანთა რაოდენობა, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა შეადგენს 400 მილიონს. უელსელი ეკოლინგვისტის, დავიდ კრისტალის გამოთვლით იმ ადამიანთა რაოდენობაც, ვისთვისაც ინგლისური ენა წარმოადგენს მეორე ენას ასევე დაახლოებით 400 მილიონია. თუ ამ ორივე ციფრს დავუმატებთ იმ ადამიანთა სავარაუდო რაოდენობას, ვინც ამჟამად ეუფლება ინგლისურს და მიღწეული აქვს კომპეტენციის მინიმალური დონე, მაშინ ინგლისურ ენაზე მეტყველ ადამიანთა მთლიანი რაოდენობა მილიარდსაც გადააჭარბებს. რასაკვირველია, ყველასთვის ცნობილია, რომ მანდარინი, ჩინური ენა პირველ ადგილზე ითვლება დედამიწაზე მასზე მოლაპარაკე ადამიანთა რაოდენობის მიხედვით (ასევე მილიარდზე მეტი) თუმცა თვითონ ჩინელებს ის ისეთი საკმაოდ მისაწვდომი აღარ ეჩვენებათ. ბეიჯინგში წარმოთქმულ სიტყვაში 2005 წელს გორდონ ბრაუნმა, დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა ასე იწინასწარმეტყველა: „20 წელიწადში ჩინეთში ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა ჩანს რომ გადააჭარბებს ინგლისურენოვან მოსახლეობას მსოფლიოში“.

ჩანს, რომ ბ-ნ ბრაუნის წინასწარმეტყველება მართლდება, რაც გამოწვეულია მრავალი ფაქტორით, დაწყებული ბრიტანეთის იმპერიის გაფართოებით, რომელიც დაიწყო სწორედ მას შემდეგ რაც შექსპირმა დაწერა „რიჩარდ II“, შემდეგ გაგრძელდა მე-17, მე-18 და მე-19 საუკუნეებში, აშშ-ში ტექნოლოგიების განვითარებამდე, რამაც შესაძლებელი გახადა ინტერნეტის გამოყენება და ყველაფერმა ამან ინგლისური ენა გახადა აუცილებლად საჭირო ენა, გლობალიზაციის ენა, სწორედ ისეთი როგორსაც დღეს ვხედავთ და ვიყენებთ. გარდა თავისი სამშობლო დიდი ბრიტანეთისა, ინგლისური ასევე მთავარი და პირველი ენაა აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ირლანდიასა და ათეულობით სხვა ქვეყანაში,

ისეთი შორეული ქვეყნებში, როგორცაა ნიგერია, იამაიკა და ფიჯი. ათეულობით ქვეყანაში, როგორცაა ფილიპინები, ინდოეთი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ინგლისური ენა ოფიციალურ სამთავრობო ენის როლს ასრულებს სხვა ერთ ან ორ ენასთან ერთად. მსოფლიოში საერთაშორისო ორგანიზაციათა 85% ინგლისურ ენას იყენებს როგორც ოფიციალურ ენას. ევროკავშირში ინგლისური ენის, როგორც მეორე ენის ექსპანსიის დღევანდელი მაჩვენებელი ადასტურებს, ალბათ ყველა სხვა სტატისტიკაზე უკეთესად თუ როგორია ინგლისური ენის ამჟამინდელი სტატუსი და მომავალში მისი ზრდა. 1999 წელს დავიდ გრადოლმა აღნიშნა, რომ 1990 წლიდან მოყოლებული ინგლისური ენის კომპეტენცია მკვეთრად ამაღლდა ევროპის კონტინენტზე, სადაც 100 მლნ ადამიანი, თითქმის ევროკავშირის მოსახლეობის მესამედი ლაპარაკობს ინგლისურს როგორც მეორე ენას. გრადოლის მონაცემებით 1994 წელს ევროპის კონტინენტის მოსახლეობის 10% 55 წლის ზევით იცოდა ინგლისური, მაშინ როცა 15-24 წლის ასაკის მოსახლეობის 55% ლაპარაკობდა ინგლისურად, ეს ციფრები გვიჩვენებს რას შეიძლება მოველოდეთ მომავალში.

აშშ-ს, როგორც ეკონომიკის და სამხედრო სფეროში მსოფლიო ლიდერის დღევანდელმა პოზიციამ, დიდი როლი ითამაშა ინგლისური ენის გლობალური კონსოლიდაციის საქმეში, რაზეც მეტყველებს აშშ-ს კულტურული პროდუქციის სრული მოწონება გლობალურ ბაზარზე.. ნიკოლას ოსტლერი თავის ნაშრომში „მსოფლიოს ენათა ისტორია“ დოკუმენტებით მყარად ამტკიცებს, რომ მსოფლიოს ყველა იმპერია ვერ ახერხებდა თავისი ენის დამკვიდრებას იმ ტერიტორიებზე, რომელზეც ჰქონდა გავლენა და აშშ-ს მხოლოდ იმპერიული ძალაუფლება არ იქნებოდა საკმარისი რომ გამოეწვია ინგლისური ენის უპრეცედენტო გავრცელება. ზოგიერთი ლინგვისტის თეორიის მიხედვით მიზეზი ასეთი გლობალური აღიარებისა თვითონ ენის სტრუქტურის ფაქტორთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომელიც ხასიათდება შედარებით სიმარტივით. „ინგლისური ენის სტრუქტურა არის მოწესრიგებული და შესაბამისად სასწავლად იოლი სხვა უფრო რთული სტრუქტურის ენებთან შედარებით, ან ისეთ ენებთან შედარებით, რომელთაც აქვთ რთული მორფოლოგიური ვარიაციები“ - წერს ედვარდ ფინეგანი და მიუთითებს, რომ აშშ-ში 100-დან 88 ყველაზე ხშირად გამოყენებადი სიტყვა არის ერთმარცვლიანი. მეორეს მხრივ, ინგლისურ ენას აქვს დიდი უნარი შეიწოვოს მრავალი სიტყვა, არსებობის მანძილზე მისი ლექსიკა გაუთავებლად მდიდრდება სიტყვებით ასეულობით სხვა ენებისგან, ეს ფაქტორიც აღიარებულია მისი სიძლიერის ერთ-ერთ წყაროდ, ეს ჰიპოთეზა ალბათ ცოტა ხნით შეაჩერებს მათ, ვინც ცდილობს რომ დაიცვას სხვა ენები ინგლისური

სიტყვების შემოდინებისგან. უფრო მეტიც, ზოგიერთი ლინგვისტის ვარაუდით შესაძლოა არსებობდეს კავშირი ქვემდებარე-ზმნა-დამატება (SVO) გრამატიკულ სტრუქტურასა და ადამიანის ტვინის ძირითადი მექანიზმის მუშაობას შორის. ქვემდებარე-ზმნა-დამატება (SVO) გრამატიკული სტრუქტურა დამახასიათებელია არა მარტო ინგლისური ენისთვის, ასევე ჩინური, ფრანგული, რუსული და ესპანური ენებისთვისაც. ამ თეორიის მიხედვით (SVO) სტრუქტურის ენები არსებითად უფრო დამუშავებითია ვიდრე სხვა ენები და ასევე უფრო სასარგებლო და მიმზიდველი მოსაუბრეთა ფართო მასებისთვის. და მაინც, ინგლისური ენის მნიშვნელობის ყველაზე თვალნათელი ახსნა დაკავშირებულია აშშ-ს ამჟამინდელ ძლევამოსილებასთან. ლინგვისტი და მთარგმნელი მაიკლ ჰენრი ჰეიმი გვთავაზობს სხვა მოსაზრებას, რომ აშშ-ს ენის და კულტურისკენ გლობალური სწრაფვა დაკავშირებულია ქვეყნის ისტორიასთან. ჰეიმი აღნიშნავს, რომ აშშ-ს კულტურა გახდა მაუწყებელი გლობალური კულტურისა, რომლის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიიღეს ადამიანებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით: აფრიკელებმა, ადგილობრივმა ამერიკელებმა, იმიგრანტებმა ევროპიდან და აზიიდან. ამდენი ხალხის ასიმილაციებისთვის აშშ-ს მოუხდა განევიტარებინა საერთო ენა და კულტურა. „საერთო“ არა მხოლოდ ყველასთვის გასაგები ასევე მისაღები. ოსტლერი გვთავაზობს განსხვავებულ და ნაკლებად ეროვნულობისთვის დამახასიათებელ ახსნას, აცხადებს რა რომ ისტორიულად და კულტურულად რეფორმირებული ინგლისური ენა დაკავშირებულია სიმდიდრის ძიებასთან და მოპოვებასთან, ხშირად უპრეცედენტო და წარმოსახვითი სქემების გამოყენებით. ამ ძიებას ზოგჯერ დაპირისპირებამდე მიჰყავდა ადამიანები რელიგიური თუ სამოქალაქო მიზეზებით თუ პატრიოტული მიზნების განსახორციელებლად, რაც სამხედრო სამსახურში გამოიხატებოდა. ძირითადად ეს უფრო მოკავშირეობა იყო ვიდრე მეტოქეობა ყველა ინდივიდის თავისუფლებისთვის. ინგლისური ყველაფერ ამაზე მაღლა დგას და არის მსოფლიო ენა.

სტატიაში რომელიც წაკითხულ იქნა 2002 წელს ლონდონში დედოფალ ელიზაბეტის დარბაზში, მიეძღვნა სებალდის ხსოვნას. სუზან სონტაგი მიმოიხილავდა მრავალი ახალგაზრდა ინდოელის ბედ-იღბალს, რომლებიც მუშაობდნენ IBM-ის, American Express-ის და სხვა უდიდესი კორპორაციების სატელეფონო ცენტრების ფილიალებში, სადაც იწერდნენ კითხვებს ინგლისურად აშშ-ს კლიენტებისგან, რომლებიც რეკავდნენ უფასო ნომრებზე და ხშირად ვერც ხვდებოდნენ, რომ მათი ზარი ხვდებოდა ნიუ-დელიში, ბომბეიში თუ ბანგალორში.

სატელეფონო ცენტრის თანამშრომლებს მოეთხოვებოდათ არა მარტო ინგლისურის თითქმის სრულყოფილი ცოდნა, ასევე მათ ევალუბოდათ ყოფილიყვნენ დახვეწილი მატყუარები და გაეყალბებინათ ნორმალური, ჩრდილოეთ ამერიკის მოქალაქის იდენტურობა. „ეს მხიარული ხმით მოლაპარაკე ახალგაზრდები გადიოდნენ ტრენინგებს თვეობით, რომელთაც უტარებდნენ ინსტრუქტორები, ასევე უსმენდნენ სასწავლო კასეტებს რათა აეთვისებინათ სასიამოვნო, საშუალო ამერიკელის აქცენტი (არა განათლებული ამერიკელის). მათ უნდა ესწავლათ ძირითადი ამერიკული სლენგი, არაფორმალური იდიომები, (მათ შორის ადგილობრივი) ასევე მასობრივი კულტურისთვის დამახასიათებელი ინფორმაცია (სატელევიზიო გადაცემების პერსონაჟები, ძირითადი კომედიების მთავარი გმირები, უახლესი ბლოკბასტერები, ბეიზბოლის და კალათბურთის მატჩების ქულები და ა.შ) ეს ყველაფერი იმისთვის, რომ თუ ამერიკელ კლიენტთან ვაჭრობა გაჭიანურდებოდა ოპერატორი არ წაბორძიკებულიყო, არ შემოფარგლულიყო მოკლე საუბრით, რათა გამოეყენებინა ყველა საშუალება, რომ თავი ამერიკელად გაესაღებინა.

ტექნიკური მხარდაჭერის მაძიებელი ბევრი შეწუხებული პირი აშშ-ში დაადასტურებს, ყველა ოპერატორი ვერ ახერხებდა სხვა ადამიანად თავის გასაღებას, რადგან შესაძლოა დარეკო ასეთ სატელეფონო ცენტრში და მიხვდე, რომ ინდოელს ელაპარაკები. და მაინც, დღესავით ნათელია, რომ ინგლისური ენის ფართოდ გამოყენება ინდოეთმა მემკვიდრეობით მიიღო თავისი კოლონიური ისტორიის გამო, რაც გამოადგა ამჟამინდელ გლობალურ ეკონომიკაში.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თუ რა წარმატების მოტანა შეუძლია ინგლისური ენის ცოდნას. 2005 წლის დასაწყისში, მას შემდეგ რაც მონღოლეთის ახლად არჩეულმა მთავრობამ გამოაცხადა, რომ აპირებდა სირილიკურ ანბანზე უარის თქმას, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო საბჭოთა კავშირის ბატონობის პერიოდში, რათა მონღოლეთი გამხდარიყო ორენოვანი ქვეყანა და ინგლისური ყოფილიყო მეორე ენა, პუნცაგ ცაგანმა, მონღოლეთის განათლების მინისტრმა „ნიუ-იორკ თაიმსთან“ ინტერვიუში განაცხადა: „თუ შევძლებთ ჩვენი აკადემიური ცოდნის ინგლისურთან შერწყმას, მაშინ შევძლებთ კონტრაქტების დადებას, ისევე როგორც ეს მოხდა ბანგალორში“.

სამხრეთ კორეა კიდევ უფრო შორს წავიდა, შექმნა რა ექვსი „ინგლისური სოფელი“, სადაც დაასახლა ინგლისურენოვანი მოსახლეობა და სადაც სტუდენტები იხდიან და იღებენ კარგ გამოცდილებას. ამასობაში ნიდერლანდების და სკანდინავიის მოდელის გათვალისწინებით, სადაც ბილინგუალიზმი ინგლისურ ენასთან ერთად უნივერსალურია, ჩილემ გეგმა შეიმუშავა,

რომ ქვეყანა გახადოს ასევე ორენოვანი. „ინგლისური გიღებთ კარს“ ამ სახელწოდებით 2003 წელს ჩილეს სამთავრობო პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენა გახდა სავალდებულო მე-5 კლასიდან, დიდი ძალისხმევა ხმარდება იმის მიღწევას, რომ ყველა სკოლადამთავრებულ მოსწავლეს ჰქონდეს ინგლისურის კარგი ცოდნა.

ესპანური ენა, ისევე როგორც ჩინური ასევე შედის იმ ხუთ ენათა რიცხვში, რომელიც ყველაზე მეტადაა გავრცელებული პლანეტაზე და ის არის ინგლისური ენის, როგორც გლობალური დომინანტის შემდგომი მთავარი ინდიკატორი, და რომ საჭიროა არა მხოლოდ იმ ხალხისთვის, რომლებიც ლაპარაკობენ ნაკლებად გავრცელებულ ენებზე, არამედ იმათთვისაც, რომლებიც ლაპარაკობენ მსოფლიოს მთავარ ენებზე. ჩილეს კამპანია ორენოვნების დამკვიდრების გზაზე მკვეთრ კონტრასტშია აშშ-ში გავრცელებულ მოძრაობასთან: „მხოლოდ ინგლისური“, რომლის წარმომადგენლები არიან ნაციონალისტთა ჯგუფი, რომელთაც სურვილი აქვთ ამტკიცონ, რომ ინგლისურ ენას საფრთხე ემუქრება ეროვნული უმცირესობის ამერიკული მოსახლეობისგან, რომლებიც ლაპარაკობენ ესპანურ, ჩინურ ან სხვა ენებზე.

ბილინგუალიზმი არ წარმოადგენს საფრთხეს ენის არსებობისთვის, რაც არ უნდა თქვან ნაციონალისტებმა. მრავალი მაგალითი არსებობს როდესაც მრავალენოვან საზოგადოებაში მაცხოვრებელმა ხალხმა გამოიარეს საუკუნეები და შეინარჩუნეს ენა. და მაინც, დღესდღეობით არსებობს საფრთხე რომელიც მსოფლიო ენებს ემუქრება და თავისი მასშტაბებით ეს არის უპრეცედენტო კაცობრიობის ისტორიის მანძილზე. ამ სიტუაციის ასახსნელად სტანდარტული პოსტკოლონიური შეფასებები ენების შესახებ და პოლიტიკური დომინირება ნაკლებად გამოგვადგება იმ ახალ პარადიგმასთან შედარებით, რომელიც წარმოიქმნება ბუნებრივი სამყაროდან. ეკოლონგვისტიკა, ახალი სფერო, რომელიც შეიქმნა ამ კრიზისის საპასუხოდ თავის მეტაფორებს იღებს ბიოლოგიიდან, ვიდრე პოლიტიკიდან და სწავლობს უფრო მეტად ენობრივ დასახლებებს ვიდრე სახელმწიფოებს. ეკოლინგვისტიკისთვის სხვადასხვა ენების გლობალური სისტემა უკეთესად დასანახია როგორც ეკოსისტემა, სადაც სახეობების ნახევარი გადაშენების გზაზე დგას. დავიდ კრისტალის მოხსენებაში ნათქვამია, რომ 6000 დღეს არსებული ენიდან ნახევარი აღარ იარსებებს შემდეგ საუკუნეში. „აღმოჩნდა, რომ მსოფლიო ენების 96% ლაპარაკობს მხოლოდ ადამიანთა 4% მსოფლიოში“. დღესდღეობით მსოფლიოში მხოლოდ 600 ენას არ ემუქრება საფრთხე.

ეს კრიზისი წარმოიქმნა იმ ქვეყნებში სადაც საფრთხის წინაშე მყოფ ენებზე ლაპარაკობენ, ასევე ლინგვისტიკის და ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციების წრეებში.

საერთაშორისო PEN (მწერალთა კავშირი) და „თარგმანის და ლინგვისტური უფლებების დაცვის საზოგადოება“ სიამაყით აღნიშნავენ, რომ დგანან მთავარ ძალთა რიგებში და იცავენ 1996 წლის „ლინგვისტური უფლებების უნივერსალურ დეკლარაციას“, რომელიც ასევე ცნობილია როგორც „ბარსელონას დეკლარაცია“, რადგან ბარსელონაში მოხდა მასზე ხელის მოწერა, რომელსაც საფუძვლად დაედო 1948 წლის „ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია“ როგორც მოდელი. დეკლარაციის მიხედვით „უნდა მოხდეს ლინგვისტური მრავალფეროვნების პოლიტიკური ჩარჩოს შექმნის ხელშეწყობა, რომელიც დაფუძნებული იქნება პატივისცემის, ჰარმონიული თანაარსებობის და ურთიერთსარგებლობის პრინციპებზე“.

მიხედვად ასეთი ფასდაუდებელი ინიციატივებისა მათი გავლენა მოსახლეობაზე არ არის მაღალი, განსაკუთრებით ინგლისურად მოლაპარაკე სამყაროში. ენა აღიარებულია როგორც კაცობრიობის უდიდეს მიღწევა და თვითეული ენა ატარებს იმ ენაზე მოლაპარაკე ხალხის უნიკალურ თვისებებს და სამყაროს გამოცდილებას და ეს ყველაფერი იკარგება ენის დაკარგვასთან ერთად. ამის მიუხედავად ადამიანები უფრო მეტად ცდილობენ შეინახონ ცხოველთა სახეობები თუ ნახატები, ქანდაკებები და შენობები ვიდრე სხვა ხალხების ენები. ბერძნებმა შექმნეს სიტყვა „ბარბაროსი“ და უწოდეს ყველას, ვინც არ ლაპარაკობდა ბერძნულ ენაზე და რომელი ენებიც მიაჩნდათ ცალკეული, არადიფერენცირებული, დაულაგებელი ენის ბორძიკი: „ბუტბუტი, ლულული“. ალბათ სიმართლეს შეესაბამება ის ფაქტი, რომ ადამიანებს უჭირთ იმ ენის შეფასება რომელზეც თვითონ არ ლაპარაკობენ. უსაზღვროდ კომპლექსური ლოგიკა, მუსიკა, ტრადიცია და იდიოსინკრაზია, ყველაფერი ეს რაც აყალიბებს ენას მასზე მოლაპარაკე ხალხისთვის, გარედან უცხოთვის ჩანს როგორც გაუგებარი მეტყველება, აბდაუბდა, ან უარესი, მტრის გაუშიფრავი საიდუმლო კოდი. მითები მრავალ კულტურაში სხვადასხვა ენების არსებობას განიხილავს როგორც სასჯელს და აღწერს იდეალურ, ბაბილონის გოდოლამდე არსებულ ერთენოვან, მშვიდობიან სამყაროს. ასეთი მითები ინარჩუნებენ თავის გავლენას. როგორც კრისტალი აღნიშნავს: „ადამიანთა უმრავლესობას ჯერ კიდევ სჭირდებათ განავითარონ ენის არსის გაცნობიერება“.

მემკვიდრეობით მიღებულ მსოფლიოს ხალხთა ენებს ვერ დავადანაშაულებთ ინგლისური ენის ასეთ აღზევებაში, რადგან სხვა ფართოდ გავრცელებულმა ენებმა, როგორცაა ესპანური, პორტუგალიური, რუსული, ჩინური და არაბული, ასევე ამოაგდეს პატარა ადგილობრივი ენები ხმარებიდან მსოფლიო მასშტაბით. მაგრამ დღემდე არ ახსოვს ლინგვისტიკის ისტორიას ინგლისური ენის ასეთი ძალაუფლება და არ ვიცით ეს სადამდე მიგვიყვანს.

„იქნება ინგლისური ენის გავლენა ისეთი ძლიერი რომ პერმანენტულად შეცვალოს სხვა ენების ხასიათი?“ ან „შეუძლია ინგლისურს ყველა სხვა ენის განადგურება?“ სამყარო, სადაც მხოლოდ ერთი ენა არსებობს, რაც ნიშნავს უპრეცედენტო ეკოლოგიურ ინტელექტუალურ კატასტროფას, არის ის სცენარი, რომლის მიხედვით თეორიულად ასეთი სამყარო შენარჩუნდება 500 წელი“- ასე გვაფრთხილებს კრისტალი.

შესაძლოა ეს პროგნოზი არ იყოს ისეთი მუქარისშემცველი როგორცაა სხვა საფრთხეები პლანეტაზე, მაგალითად გლობალური დათბობა. და მაინც, როდესაც საუბარი ეხება მსოფლიო ლიტერატურის საკითხს მონოლინგვური დისტოპია, რომელიც იმ ადამიანებს აშინებდა, ვისაც ადარდებდა ენების გაქრობა, უკვე მართლაც ძალიან ახლოსაა ჩვენთან. მართლაც მტკივნეულია იმის დანახვა როდესაც საქმე ლიტერატურას ეხება, რომ გლობალური ენა მოქმედებს როგორც დამპყრობელი (ინვაზიური) ენა და არა როგორც „lingua franca“. (საკომუნიკაციო ენა) „ლინგვისტური უფლებების უნივერსალური დეკლარაციის“ პრეამბულა ყველას მოუწოდებს, რომ „პატივი სცენ ყველა საზოგადოების ეკოლოგიურ ბალანსს და ყველა ენასა და კულტურას შორის თანასწორუფლებიან ურთიერთობებს“. მაგრამ რაც უფრო იზრდება ინგლისური ენის გლობალური ძალაუფლება წლიდან წლამდე, უთანასწორობა ინგლისურ ენასა და სხვა ენებს შორის სულ უფრო პრობლემატური ხდება. საერთაშორისო PEN შეხვედრის დროს სლოვენელმა მწერალმა ანდრეჟ ბლატნიკმა წარმოადგინა ნაშრომი და იკითხა: „სად მოვახდინოთ ექსპორტი? დიდი ბრიტანეთის ბაზარზე მხოლოდ 2%-ია თარგმანი, აშშ-ში 3%, ხოლო თურქეთში 40% და სლოვენიაში 70%. ეს არის „თავისუფალი არჩევანი“. ვინ არის წაგებული ამ სტატისტიკის მიხედვით? ისინი ვისაც არ აქვთ არჩევანი თუ ისინი, ვისაც ვერ აირჩევენ?“

1.2 მსოფლიო ლიტერატურა და ინგლისური

ლიტერატორი მწერლები ყოველთვის იღწვოდნენ, რომ განთავისუფლებულიყვნენ ნაციონალური და ლინგვისტური საზღვრებისგან და მონაწილეობა მიეღოთ გლობალურ საუბარში პოლიტიკური ლინგვისტური, გეგრაფიული შეზღუდვების გარეშე. ბევრი ეს მცდელობა გამოხატავს სწორედ სიტყვა „ლიტერატურის“ მნიშვნელობას. 1827 წელს გოეთემ ეკერმანს, თავის ახალგაზრდა პირად მდივანს ასეთი ტექსტი ჩააწერინა: „ტერმინმა „ეროვნული

ლიტერატურა“ სრულიად დაკარგა მნიშვნელობა: ჩვენს თვალწინ არის მსოფლიო ლიტერატურის ეპოქა და ყველა უნდა ეცადოს მასთან მიახლოებას“.

ლინგვისტური პლურალიზმი არის ლიტერატურის ამ იდეის მნიშვნელოვანი კომპონენტი. მეცნიერებს ლიტერატურის დარგში უჭირთ ამაზე დათანხმება, მაგრამ არის ერთი საკითხი, რომელზეც ყველა თანხმდება, ეს არის ლიტერატურის უდიდესი მნიშვნელობა სხვადასხვა ენებს შორის. რუსი ლიტერატურული თეორეტიკოსი მიხაილ ბახტინი მიმოიხილავს „პოლიგლოსიას“, რაც გულისხმობს სახადასხვა ენების ინტერაქციას, როგორც ფუნდამენტალურს ლიტერატურული აზროვნებისას და განსაკუთრებით მნიშვნელოვანს თანამედროვე ჟანრის ჰეტეროგენულ განვითარებაში, როგორცაა ნოველა: „მხოლოდ „პოლიგლოსია“ მთლიანად ათავისუფლებს გონებას თავისი საკუთარი ენის ტირანიისგან“. სხვა კრიტიკოსები, დაწყებული რაიმონდ ვილიამსიდან ჯორჯ ლუის ბორჯემდე სხვაგვარად გამოხატავენ თავის აზრს, მაგრამ ყველა თანხმდებოდა, რომ ლიტერატურის მასაზრდოებელი წყაროა მისი ცირკულაცია სხვადასხვა ენებს შორის თარგმანის მეშვეობით. „თავისთვის დარჩება, ყველა ლიტერატურული ნაწარმოები დაკარგავს სიცოცხლისუნარიანობას, თუ უცხო ენა არ დაინტერესდება და არ შეიტანს წვლილს მის გამოცოცხლებაში“ (გოეთე ეკერმანს)

ასეთი მოძრაობა ენებს შორის დამოკიდებულია თარგმანზე და მთარგმნელის შრომაზე. რაც არ უნდა დიდი შრომა გასწიონ განათლების სისტემაში მულტილინგუალიზმის ხელშეწყობისთვის, მხოლოდ ცოტა ადამიანს შეუძლია დაეუფლოს სამ ან ოთხ ენას ცხოვრების მანძილზე, 600-ზე ნაკლებია ის ენები, რომლებიც ჯერ არ არიან გადაშენების საფრთხის წინაშე ან 3000, რომელთაც უწინასწარმეტყველებენ გადარჩენას მასობრივი გადაშენებისგან. ისე, რომ ამ ენების გარდა ყველა სხვა ენაზე ლიტერატურის კითხვა, შეცდომაში შეყვანაა. დამოკიდებულება, მხარდაჭერა და თარგმნის ინტერესი მოცემული ლიტერატურის მიმართ არის გადამწყვეტი ინდიკატორი, თუ რამდენად დიდია სურვილი გაითავისო ესა თუ ის ნაწარმოები. პასკალ კასანოვას წიგნში, მისი მეტაფორები აღებულია უფრო ეკონომიკიდან ვიდრე ბიოლოგიიდან. თავის ანგარიშში ის თვითეულ ენას განიხილავს როგორც ვალუტას, რომელთაც აქვთ განსხვავებული ფასი გლობალურ ლიტერატურულ ბაზარზე. ის არის პირველი ლიტერატურული კრიტიკოსი, რომელიც აღნიშნავს: „ლიტერატურულ თამაშში მოთამაშეთა არათანაბარ სტატუსზე და დომინანტობის სპეციფიურ მექანიზმებზე“.

ინგლისური ენის, როგორც გლობალური ენის ადგილი განსაკუთრებულია გლობალურ ლინგვისტურ ეკონომიკაში. როდესაც ნაშრომი ითარგმნება ინგლისურად ის არა მხოლოდ ადგილობრივ აუდიტორიამდე აღწევს, არამედ ასევე მოიცავს გლობალურ აუდიტორიასაც. ამიტომაც ინგლისურად ნათარგმნ ნაწარმოებს მეტი შანსი აქვს, რომ ითარგმნოს ბევრ სხვა ენაზე. და თუნდაც მხოლოდ ინგლისურ ენაზე დაიწეროს ან ითარგმნოს, მეტად ხელმისაწვდომი გახდება მსოფლიო წიგნის ბაზრობაზე და მის წაკითხვას შეძლებს სხვადასხვა წარმომავლობის, ეროვნების და კულტურის მრავალი ადამიანი. ინგლისური ენა არის მსოფლიოში ყველაზე მყარი ლინგვისტური ვალუტა. ამიტომ ინგლისურ ენაზე თარგმნა გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინგლისურენოვან აუდიტორიაზე, არამედ მთელ მსოფლიო ლიტერატურაზე. სწორედ ამას აღიარებს პასკალ კასანოვა თავისი ინგლისურად ნათარგმნი წიგნის შესავალში: „მოხარული ვარ, რომ ეს წიგნი, რომელიც უნდა შეეფასებინათ საერთაშორისო ლიტერატურულ კრიტიკოსებს, თვითონ გახდა ინტერნაციონალური ინგლისურად თარგმნის შედეგად. ამ გზით მის ჰიპოთეზას გამოიკვლევენ პრაქტიკულად და წინდებულებს განიხილავენ სრულიად ტრანსნაციონალურ დონეზე.“ მისი სიტყვებიდან ის აზრი იკვეთება, რომ მათ ვისაც სურთ თავიანთი ნაშრომის „სრულიად ტრანსნაციონალურ დონეზე“ განხილვა ეს მხოლოდ ინგლისურად მიიღწევა.

ლიტერატურული ნამუშევრების თარგმნა ინგლისურად სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. თუ არსებობს ინდიფერენტული დამოკიდებულება ინგლისურად თარგმნის შემთხვევაში ეს არ არის უბრალოდ ინგლისურენოვანი ადამიანების პრობლემა, რომ კარგავენ კონტაქტს არა-ინგლისურენოვან სამყაროსთან, ეს აგრეთვე არის გლობალური კავშირების გზის გადაკეტვა, რაც გავლენას ახდენს ყველა უცხოენოვან მწერალზე. ამით ინგლისური ენა კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ არის გლობალიზაციის ერთადერთი სახე. ყველა იმათთვის, ვისაც გული შესტკივა ლიტერატურულ ნაწარმოებებზე, რა თქმა უნდა საშიშროება არსებობს. თუ გოეთეს მიხედვით „მსოფლიო ლიტერატურა“ მხოლოდ ინგლისურ ენაზე იქნება დაწერილი, მაშინ იარსებებს კი ის ამის შემდეგ?

ანტი-გლობალიზაციის პლაკატებზე, რომელთაც უმეტესწილად შეხვდებით ინგლისურენოვან უნივერსიტეტებში, დადანაშაულებულია ინგლისური ენა, ასევე მთარგმნელები, რომლებიც მიჩნეულნი არიან ინგლისური ენის იმპერიული ჰეგემონიის აგენტებად. ასეთი აზროვნება არაგონივრულზე უარესი და პოტენციურად საზიანოა.

მთავარი პრობლემა არც ინგლისური ენაა და არც მისი გლობალური კომპეტენცია, არამედ ენის შინაარსი, ანუ კულტურის, ხასიათის და ქცევის მნიშვნელობა, რომელიც რეზისტენტულია თარგმნის დროს. ენის არსში წვდომა, რასაც საერთაშორისო PEN პრეზიდენტმა ჯირ ი გრუ სამ უწოდა „კომუნიკაციის მტკივნეული პრობლემა“ არის ის, რასაც ინგლისურენოვანი სამყარო წარმატებით არიდებს თავს: ბევრად უფრო იოლი და პრაქტიკულია დარჩე ერთენოვანი და ნება დართო დარჩენილ სამყაროს შეისწავლოს შენი ენა ვიდრე გაწვალდე, დახარჯო ენერგია და ფინანსები რაც დაკავშირებულია მულტილინგუალიზმთან და თარგმანთან. მთარგმნელებმა, რომლებიც სულაც არ არიან ინგლისური ენის იმპერიული ჰეგემონიის აგენტები, თავის თავზე აიღეს ის სიძნელე, რაც დაკავშირებულია ლინგვისტურ მრავალფეროვნებასთან და ამით საშუალება მისცეს ხალხს, რომ გააგრძელონ წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე და ამავე დროს არ დაკარგონ ხელმისაწვდომობა გლობალურ დიალოგთან. იყენებენ რა გლობალურ lingua franca-ს (საკომუნიკაციო ენა) როგორც მედიუმს სხვადასხვა ენების დასაკავშირებლად და და არა ჩასანაცვლებლად, მთარგმნელებს თავისი წვლილი შეაქვთ ინგლისური ენის მსოფლიო დომინანტობის პრობლემის მოგვარების საქმეში.

მთავარი სიძნელე თარგმნის დროს მდგომარეობს ზუსტი შესატყვისების მოძიებაში, რაც ნიშანდობლივია ინგლისურ ენაზე მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებული დაბრკოლებების დროს. მრავალ ქვეყანაში მთელ მსოფლიოში წიგნის მაღაზიები და წიგნის რეცენზიები მხოლოდ ორი კატეგორიის გარშემო ტრიალებენ, ესენია ეროვნული ნაშრომები და სხვა ენების და კულტურების ნაწარმოებები. სხვადასხვა საქმეების შესწავლა PEN ცენტრების მიერ მსოფლიოს მასშტაბით, რაც განხილულია ამ ანგარიშში დაადასტურებს, რომ ბევრ მთავრობას აქვს სააგენტოები, რომლებიც აღრიცხავენ საკუთარ უცხო ენაზე გადათარგმნილი წიგნების რაოდენობას, ასევე იმ წიგნების რაოდენობას, რომლებიც მათ ენაზე ითარგმნა.

ამის საპირისპიროდ ინგლისურენოვანი ქვეყნების უმრავლესობაში მზარდი ტენდენციაა უგულებელყონ ნაწარმოებების ის კატეგორია, რომლებიც სხვა ენაზე დაიწერა. ბოუკერმა, აშშ-ს გამომცემლობების ინდუსტრიის მთავარმა სტატისტიკოსმა შეწყვიტა სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება თარგმანთან დაკავშირებით 2000 წელს. ის აგრძელებდა მონაცემების გამოქვეყნებას საბავშვო ლიტერატურაზე, სახლის ეკონომიკაზე, რელიგია, სპორტსა და მოგზაურობაზე, გარდა იმ წიგნებისა, რომლებიც ინგლისურად არ იყო გამოცემული.

2005 წლის ოქტომბრის ბოუკერის „ახალი ამბების“ გამოშვებაში გაკვრით იყო ნახსენები თარგმანის საკითხი. ამ ანგარიშის მიხედვით ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული ახალი წიგნების რაოდენობამ მთელ მსოფლიოში 2004 წელს შეადგინა 375,000 - ეს რაოდენობა ბევრად აღემატება ყველა სხვა ენაზე დაბეჭდილი წიგნების რაოდენობას. ანგარიშში ნათქვამია, რომ „ინგლისურენოვანი ქვეყნები რჩებიან არასტუმართმოყვარე, რადგან არ სურთ სხვა ენაზე დაწერილი ნაწარმოებების ინგლისურ ენაზე თარგმნა“. „მთლიანობაში იყო 14,440 ახალი თარგმანი 2004 წელს, რაც შეადგენდა ყველა გასაყიდი წიგნის 3%-ზე ცოტა მეტს. 4,982 მთარგმნელი იყო აშშ-ში ხელმისაწვდომი, რაც იმის ნახევარსაც არ შეადგენდა რაც იყო 2002 წელს 12,197, იტალიის მონაცემების მიხედვით, 400-ით მეტი ვიდრე 4,602, რომლის მონაცემებიც გამოაქვეყნა ჩეხეთის რესპუბლიკამ 2003 წელს. თითქმის სამი მეოთხედი გასულ წელს ყველა ინგლისურად თარგმნილი წიგნებისა სხვადასხვა ენებიდან იყო არა მხატვრული ნაწარმოები. ეს ციფრები აშკარად თვალშისაცემი ხდება მაშინ, როცა გვახსენდება, რომ იტალიის მოსახლეობა შეადგენს 55 მილიონს, ჩეხეთის რესპუბლიკა 10 მილიონს, ხოლო იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთა პირველი ენაა ინგლისური დაახლოებით 400 მილიონს.

ყველა გამოქვეყნებული წიგნის რაოდენობა რომ 3% ეს უკვე საგანგაშოა, მაგრამ სიტუაცია უფრო სერიოზულია, ვიდრე სტატისტიკა გვიჩვენებს. თარგმანების უმრავლესობა არ არის მხატვრული ნაწარმოებები (მაგ. კომპიუტერის ინსტრუქცია), ხოლო როდესაც ვხედავთ ციფრებს, რაც ლიტერატურულ სამყაროს ეხება, აქ უფრო პირქუში სურათი იკვეთება. 2004 წელს უფროსებისთვის გამოცემული ლიტერატურა და პროზა რაც ითარგმნა და გამოიცა აშშ-ში იყო 874 და ეს ციფრიც არ არის ზუსტი. 1999 „ეროვნულმა წვლილმა ხელოვნებაში“ (NEA) მთელი ქვეყნის მასშტაბით შეისწავლა და შეაგროვა მონაცემები თარგმანების შესახებ ლიტერატურული ჟურნალებიდან. შესწავლამ გამოავლინა, რომ მთლიანი რაოდენობიდან, 12,828 მხატვრული ნაწარმოებებიდან, რომლებიც გამოიცა 1999 წელს აშშ-ში, მხოლოდ 297 იყო თარგმანი, რაც შეადგენს მხატვრული ლიტერატურის 2%, ხოლო მთლიანად გამოცემული წიგნების 1%.

297 თარგმანს შორის ბევრია კლასიკური ნაწარმოების ხელახალი თარგმანი. ეს ხელმეორედ გადათარგმნილი კლასიკოსების ნაწარმოებებიც თუ გამოვაკელით საერთო რაოდენობას დავინახავთ ნამდვილ სურათს, თუ რამდენად იშვიათად ითარგმნება თანამედროვე უცხოელი

მწერლების ნაწარმოებები. თავის 1995 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ მთარგმნელის უხილავობა, თარგმნის ისტორია“ ლარი ვენუტიმ აღმოაჩინა, რომ 1950 წლიდან გადათარგმნილი წიგნების რაოდენობა აშშ-ში შეადგენდა 2%-4% წელიწადში, ხოლო 60-იან წლებში 6%-7% წელიწადში. ეს აღმავლობა ადასტურებს ელიოტ ვეინბერგერის მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ აშშ მეტად დაინტერესებულია იმ ლიტერატურის თარგმნით, რომელიც შეეხება პოსტ-კოლონიური კულტურის ფორმირებას მე-19 საუკუნეში, ასევე შემდგომი პერიოდებით, რომელსაც ახასიათებს ფართოდ გავრცელებული უკმაყოფილება საკუთარი კულტურით და მთავრობით, როგორცაა 60-იანი წლები, ასევე ალბათ დღევანდელი მდგომარეობაც.

სრულიად საგანგაშო მონაცემები გამოაქვეყნა „წიგნის კულტურის ცენტრმა“ 2006 წელს, სადაც შესწავლილ იქნა მხოლოდ პროზა მოდერნისტული პერიოდიდან დღემდე. კვლევამ გამოავლინა, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორც არგენტინა, სადაც მხატვრული ლიტერატურა ყვავის, ინგლისურად ნათარგმნი ნაწარმოებების მიხედვით სრულიად უიმედო მდგომარეობაა: ასი მწერლიდან შეიძლება ერთი მწერლის ნაწარმოები ითარგმნოს წელიწადში.

Translated Fiction Published in the United States, 2000-2006

Country: Language	Translated to english in last 6 years	Average per year
Albania: Albanian	3	0.5
Argentina: Spanish	5	0.8
Belgium: Flemish	1	0.2
Bosnia & Herzegovina: Bosnian	1	0.2
Brazil: Portuguese	7	1.2
Bulgaria: Bulgarian	1	0.2
Chile: Spanish	6	1.0
Croatia: Croatian	6	1.0
Cuba: Spanish	12	2.0
Czech Republic: Czech	12	2.0
Denmark: Danish	5	0.8
Ecuador: Spanish	1	0.2
Estonia: Estonian	1	0.2
Finland: Finnish	1	0.2
France: French	52	8.7
Germany/Austria/Switzerland: German	36	6.0
Greece: Greek	8	1.3
Hungary: Hungarian	7	1.2
Iceland: Icelandic	1	0.2
Italy: Italian	39	6.5
Latvia: Latvian	0	0
Lithuania: Lithuanian	1	0.2
Macedonia: Macedonian	1	0.2
Mexico: Spanish	8	1.3
Netherlands: Dutch	18	3.0
Norway: Norwegian	12	2.0
Peru: Spanish	2	0.3
Poland: Polish	13	2.6
Portugal: Portuguese	6	1.0
Romania: Romanian	3	0.5
Russia: Russian	29	4.8
Serbia and Montenegro: Serbian	8	1.3
Slovak Republic: Slovak	1	0.2
Slovenia: Slovene	2	0.3
Spain: Catalan	2	0.3
Spain: Spanish	12	2.0
Sweden: Swedish	7	1.2
Turkey: Turkish	6	1.0
Uruguay: Spanish	4	0.7

Source: Center for Book Culture, http://www.centerforbookculture.org/context/no19/translations_5.html

ყველაზე სრულყოფილი ინფორმაციის წყარო მხატვრული თარგმანების შესახებ ინგლისურად არის ჟურნალი „მიღებული ანოტირებული წიგნები“, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ვებსაიტზე: www.literarytranslators.org/abr.html. ჟურნალი გამოქვეყნებულია „ამერიკის მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელთა ასოციაციის“ (ALTA) და „თარგმნის შესწავლის ცენტრის“ მიერ „ტექსასის უნივერსიტეტი“, დალასში. „მიღებული ანოტირებული წიგნები“ დაარსდა 1983 წელს როგორც თარგმანთა განხილვის განყოფილება, ALTA-ს სწავლულთა ჟურნალი, რომელშიც იბეჭდებოდა წინა წლის მხატვრული თარგმანების სია, ინგლისურად თარგმნილი ყველა ენებიდან. 1994 წელს ALTA-მ დაიწყო სიის გამოქვეყნება ცალკე, როგორც განხილვის დამატება. „მიღებული ანოტირებული წიგნები“ გთავაზობთ მცირე სტატისტიკურ ანალიზს, რომელიც მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას ყველა

გამოქვეყნებულ მხატვრულ თარგმანზე, რომელზეც კი ALTA -ს მიუწვდებოდა ხელი, ეს იქნება პროზა, ლიტერატურის თეორია, პოეზია, დრამატურგია, წერილები ან ლიტერატურული სტიპენდიის სხვა ფორმა...მიღებული ანოტირებული წიგნები“ იბეჭდება წელიწადში ორჯერ და ითვლება დღემდე არსებულ საუკეთესო წყაროდ დეტალური ინფორმაციის მისაღებად ყველაფერზე, რაც ინგლისურადაა თარგმნილი. თვალი გადავავლოთ უახლეს გამოცემას, ტომი 11, ნომერი 2, 2005, სადაც დადასტურებულია, რომ იგეგმება ჰიპოთეტიკური არგენტინელი მწერლის ნაწარმოებების თარგმნა ინგლისურად. ესპანურიდან ინგლისურად სიაში წერია ხუთი თარგმანი, აქედან სამი კლასიკური ნაწარმოები, ერთი ტომი ახალგაზრდა ესპანელი პოეტის და „ქაღალდის სახლი“, ავტორი არჯენტინ კარლოს მარია დომინგეზი, გამოქვეყნებული ჰარკორტის მიერ, სულ ეს არის.

უფრო მეტი იმედისმომცემი პერსპექტივა გამოჩნდა მიშელ მაცზკას და რიკი სტოკის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც ჩატარდა „გერმანული წიგნის ოფისში“ ნიუ-იორკში, რომელშიც განხილულია „გამომცემლის ყოველკვირეული“-ის (აშშ-ს გამომცემლობითი ინდუსტრიის გავლენიანი ჟურნალი) მიერ მოძიებული თარგმანების რაოდენობა, სადაც ყველაზე ზუსტადაა ასახული ამერიკის წიგნის ბაზრის დღევანდელი მახასიათებელი ნიშნები. მათ სარა ნელსონმა, „გამომცემლის ყოველკვირეული“-ს მთავარმა რედაქტორმა, უთხრა, რომ ჟურნალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თარგმანს, რომელიც მიმოიხილავს ყველა წარმოდგენილი თარგმნილი წიგნების 60%, და არა 50% მხატვრულ და 25% არა-მხატვრულ ნაწარმოებებს. 2004 წელს მაცზკამ და სტოკმა აღმოაჩინეს, რომ 5,588 მიმოიხილვიდან მხოლოდ 132 თარგმანი იყო განხილული, დაახლოებით 2%. ჩვენდა გასაოცრად ეს ციფრი გაიზარდა 197-მდე ” 5,727 -დან, დაახლოებით 3.5%, და 2005 წელს გაიზარდა 50%-ით.

ინგლისური არ არის ერთადერთი ენა, რომელსაც აქვს პრობლემატური ურთიერთობა თარგმანთან. „კორეა თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში სინანულით ნათქვამია, რომ კორეამ ვერ შეძლო „მასიური კულტურათმორის ურთიერთობის პროექტის“ ათვისება, რასაც იაპონია სისტემატურად ახორციელებდა მეიჯი რესტავრაციის დროს 1860-იან წლებში, რითაც ბევრად გაუსწრო კორეას. კორეელი სწავლულის და მთარგმნელის პანგ სანგილის ახალ წიგნში : „არიან მთარგმნელები მოდალატეები?“ ავტორი სინანულით საუბრობს კორეული თარგმანების „სამარცხვინო“ რაოდენობასა და ხარისხზე.

რაც შეეხება არაბულ სამყაროს 2002 წელს „გაერთიანებული ენების განვითარების პროგრამამ“ გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც აქცენტი გაკეთდა არაბულიდან თარგმანების მწირ რაოდენობაზე. არაბულ სამყაროში თარგმანის მნიშვნელობას აღიარებენ და თვლიან, რომ ეს არის მოდერნიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი, შესაბამისად სხვადასხვა არაბული ქვეყნების მთავრობებიდან წამოვიდა მრავალი ინიციატივა თარგმანის მხარდასაჭერად, რაც დოკუმენტად დადასტურებულია ანგარიშში „ თარგმანი არაბულ სამყაროში“ „ნექსტ ფეიჯ ფაუნდეიშენის“ (Next Page Foundation) მიერ.

ამასობაში კორეაში პარკ სენგილი შიშობს, რომ „ინდიფერენტულობა თარგმნის მნიშვნელობის მიმართ გაადარებებს კორეის კულტურულ არსს და საბოლოოდ ის საფრთხეს შეუქმნის მშობლიური ენის სიცოცხლისუნარიანობას.“

ინგლისურ ენას, პირიქით დღესდღეობით არაფერი ემუქრება თუ უგულებელყოფს სხვა ენებს. როგორც აღვნიშნეთ წიგნის თარგმნა ინგლისურად ნიშნავს, რომ მეტი შესაძლებლობა ეძლევა ნაწარმოებს სხვა ენებზეც ითარგმნოს. ამ ანგარიშში მოცემული პრობლემა მიმართულია გლობალური ლიტერატურული აუდიტორიის იმ სეგმენტის მიმართ, ვისაც სურვილი აქვს დაკავშირებული იყოს რაც შეიძლება ბევრ სხვადასხვა ენის ჯგუფებთან.

თვითონ ინგლისური ენა რას კარგავს ან რისკავს თარგმნის უქონლობით? თვალშისაცემი პოლიტიკური და სოციალური საფრთხის გარდა იმპერიას, რომელიც ვერ ახერხებს მიაქციოს ყურადღება დანარჩენ სამყაროს, ასევე მზარდი პროვინციალიზმის პრობლემა ექმნება აშშ-ში ლიტერატურას.

PEN-ის ამერიკული ცენტრის არბიტრთა შეკრებაზე თარგმანის და გლობალიზაციის საკითხებზე რობერტო კალასომ, ცნობილმა მითოგრაფერმა და იტალიის გამომცემლობის სახლის დირექტორმა ადელფი ედიზიონიმ, რომლის მუშაობაშიც 50%-70% თარგმანს უკავია, აღნიშნეს ის სერიოზული შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს ინდიფერენტულობას ლიტერატურის მიმართ, რომელიც არ არის დაწერილი ინგლისურად. მაგალითია ავსტრიელი მწერალი თომას ბერნარდი, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს მწერალთა მრავალ თაობაზე, მათ შორის ინგლისურენოვან მწერლებზე. ამის მიუხედავად ბერნარდის მრავალი ნაწარმოებიდან მხოლოდ მცირედი რაოდენობაა ხელმისაწვდომი ინგლისურად და უმეტესობა მისი მნიშვნელოვანი შემოქმედებისა საჭიროებს თარგმნას. შესაბამისად მისი შემოქმედების გავლენა ინგლისურენოვან მწერლებზე არის ზედაპირული, რადგან ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

და მივედით ინგლისურად თარგმნის პრობლემების მთავარ მიზეზამდე: ეს არის ამერიკული უნივერსიტეტის მიერ თარგმნის მნიშვნელობის დევალვაცია, ისე, რომ არ გამოინახა სტიპენდია, დაფინანსება მხატვრულ თარგმანში. ათასწლეულობის მანძილზე თარგმანი ითვლება ფუნდამენტურ ერუდირებულ საქმიანობად, მაგრამ ბევრი თანამედროვე ამერიკული უნივერსიტეტი არ მიიჩნევს მას საკმარისად მნიშვნელოვნად ან ორიგინალურ ფორმად. ამ ტენდენციას მოაქვს საკმაოდ უარყოფითი შედეგები. ამერიკელი მეცნიერისთვის ბევრად იოლია თავისი კარიერული წინსვლისთვის წეროს მონოგრაფია ინგლისურად იმ მწერალზე, რომლის ნაშრომებიც არასოდეს თარგმნილა ინგლისურად, ვიდრე თარგმნოს ამ მწერლის ნაწარმოებები. უნივერსიტეტის მასწავლებლები, რომლებიც აგრძელებენ თარგმანების გამოცემას ზოგჯერ აქვეყნებენ ნამუშევრებს ფსევდონიმით, რათა არ შეილახოს მათი რეპუტაცია, ან უბრალოდ თავიანთ შრომით ბიოგრაფიაში ჩაწერონ, როცა მათი კარიერული მიღწევების შეფასება ხდება.

სხვა სწავლულები, რომლებიც დიდი რაოდენობით თარგმანს აქვეყნებენ შესაძლოა ვერ მიიღონ ტენურის სტატუსი ან საერთოდ გაიუმჯობესონ სამუშაო პირობები. მთარგმნელმა და კრიტიკოსმა გაიატრი სპივაკმა 1994 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტის კონფერენციაზე თემაზე „თარგმანთან დაკავშირებული საკითხები“ აღნიშნა: „თარგმანთან დაკავშირებული დიდი სკანდალი არის მთარგმნელის პიროვნების განადგურება“.

„აკადემიამ (აშშ) ნათლად დაგვანახა რომ თარგმანის კეთება ფუჭი შრომაა, როდესაც საქმე ეხება ტენურის სტატუსს თუ დაწინაურებას.“ - ვკითხულობთ მთარგმნელ, იელის უნივერსიტეტის ფრანგული ფაკულტეტის მთავარი რედაქტორის ალისონ ვოთერის ინტერვიუში, რომელიც მან ჩაწერა ფრანგ მთარგმნელ ელიზაბეტ პილაერტთან ერთად. მისი სიტყვებით: „შესაძლოა შეიცვალოს სიტუაცია და განვითარდეს თარგმნის შესწავლის სფერო, თუმცა დღეს მეცნიერს აშშ-ში ურჩევნია წეროს თარგმანთან დაკავშირებულ საკითხებზე ვიდრე აკეთოს მხატვრული თარგმანი.“ „ამერიკის მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელთა ასოციაცია“ გამოეხმაურა ამ სიტუაციას და გამოსცა პამფლეტი სახელწოდებით: „თარგმანი და ტენური“, რითიც მხარდაჭერა გამოხატა ფაკულტეტის ახალგაზრდა წევრების მიმართ.

ბოლო წლებში ზოგიერთი უნივერსიტეტის გამომცემლობამ, რომელიც იყო მხატვრული და სამეცნიერო თარგმანების მოწოდების საუკეთესო წყარო, გამოაცხადა, რომ აღარ გამოაქვეყნებდნენ თარგმანებს ან ძალიან მცირე რაოდენობით. ამან გავლენა მოახდინა მხატვრულ თარგმანზე, ხოლო რაც შეეხება საზოგადოებრივ მეცნიერებებს აქ პირდაპირ შეიქმნა უმძიმესი სიტუაცია. არა მხოლოდ აშშ-ში არამედ მთელ მსოფლიოში მეცნიერებს

საზოგადოებრივი მეცნიერებების სფეროში მოუწიათ დაეწერათ ინგლისურად ასეთივე ზეწოლას განიცდიდნენ ზუსტი მეცნიერების სფეროში გარკვეული დროის წინ.

არსებული სიტუაციის გათვალისწინებით „ამერიკის სწავლულთა საზოგადოების საბჭომ“ (ACLS) აამუშავა „საზოგადოებრივი მეცნიერებების თარგმნის პროექტი“, რომელმაც შეკრიბა მთარგმნელები, რედაქტორები და მეცნიერები რომ ემსჯელათ საზოგადოებრივი მეცნიერებების ტექსტების თარგმანთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ჯგუფმა გამოსცა გაიდლაინების სერია, ასევე დოკუმენტი სახელწოდებით: „თხოვნა მეცნიერებთან საზოგადოებრივი მეცნიერებების სფეროში, რომ წერონ თავიანთ მშობლიურ ენაზე“. დოკუმენტში ასევე წერია, რომ „საზოგადოებრივ მეცნიერებათა კონცეფციები და ტერმინები შექმნილია ენის იმ მახასიათებლებით, სადაც ის შეიქმნა და მაშასადამე იმ ენაზე მოსაუბრეთა კულტურული და ისტორიული გამოცდილებით.“ „თხოვნაში“ სინანულია გამოთქმული „მზარდი ჰომოგენიზაციის და საზოგადოებრივი მეცნიერების გამოხატვის შესუსტების გამო“, რაც გამოწვეულია „ერთი ენის მზარდი ჰეგემონიით“.

ბენტე ქრისტენსენმა, მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა და ნორვეგიის PEN-ის წევრმა „თხოვნის“ პასუხად წერილი მისწერა „ამერიკის სწავლულთა საზოგადოების საბჭოს“ (ACLS) ერთერთ ლიდერს: „ჩვენთან, ნორვეგიაში ვიბრძვით, რომ უნივერსიტეტში გვქონდეს წიგნები ნორვეგიულ ენაზე და არა მხოლოდ ინგლისურ ენაზე. სტუდენტებს კარგად არ ესმით რას კითხულობენ, ეს ბევრჯერ მინახავს. ისინი იმეორებენ კონცეფციებს ინგლისურად, მაგრამ როცა ვეკითხები, რომ ახსნან მისი მნიშვნელობა ნორვეგიულად, ისინი იბნევიან“. „როდესაც ინგლისურად ვლაპარაკობთ“, ამინ მაალოუფმა მიმართა აუდიტორიას საერთაშორისო PEN კონგრესზე ტრომსოში, ნორვეგია 2004 წელს.“ზოგჯერ ვგრძნობთ, რომ ჩვენი სიტყვები ძალიან ზედაპირულია და სიღრმეს ვერ აღწევს. ყველა მწერლისთვის თუ პიროვნებისთვის, როდესაც ის წერს ნებისმიერ დოკუმენტს ენის შერჩევა არის პირადი და უნიკალური, ბევრ მწერალს ზოგჯერ გამოუყენებია უცხო ენა საკუთარი თავის უკეთ გამოსახატავად სხვადასხვა მიზეზის გამო. არა მხოლოდ ლიტერატორებს მსოფლიო მასშტაბით, არამედ ასევე მრავალ ადამიანს უწევს თავისი აკადემიური და პროფესიული ნაშრომები შეასრულოს მისთვის არამშობლიურ ენაზე, რათა არ მოხდეს მისი ნაშრომის უბრალოდ იგნორირება.

ბოლო ორი-სამი წელია უკეთესი ტენდენცია იგრძნობა აშშ-ში მხატვრული თარგმანის გამოცემის მიმართ. ამ საკითხზე ბევრია ნათქვამი ამ ანგარიშის მეოთხე თავში. მაგრამ ასევე

არსებობს ტენდენცია აშშ-ს გამომცემლობით მრეწველობაში, რომ განიხილონ მხატვრული თარგმანი, როგორც გაუყიდვადი. „ამერიკა ამოქნარებს უცხოურ ნაწარმოებებზე“- იკითხება „ნიუ-იორკ თაიმსის“ ერთერთ ჰედლაინში, სადაც საუბარია თარგმნილ ლიტერატურაზე.

რა თქმა უნდა, თვითონ ლიტერატურის მდგომარეობა აშშ-ს წიგნის ბაზრობებზე არ არის სახარბიელო, ეს იქნება მხატვრული თუ არამხატვრული, განსაკუთრებით პოეზია. „ისინი წიგნის ფორმის საგნებზე არშიებად გვევლინებიან, რომელთაც აქვთ მცირე, დროს რომ ვერ გაუძლებს ისეთი კულტურული ფასეულობა. მხატვრული თარგმანი ყველაზე წვრილი არშიაა მათ შორის. არსებობენ გამომცემლობები, რომლებიც ინარჩუნებენ ვალდებულებებს, რომ გამოსცენ თარგმანები, იმ დროს როცა სხვა გამომცემლობები თავს არიდებენ ან თვლიან, რომ ეს არის საქველმოქმედო საქმიანობა“. (ციტირება სტივ ვასერმანის, ყოფილი „ლოს ანჯელესის თაიმსის წიგნების მიმოხილვის“ რედაქტორი)

გადათარგმნილი წიგნი თუ ბოლოსდაბოლოს დაიბეჭდა, შემდეგ პირისპირ აღმოჩნდება განხილვის და მარკეტინგის პრობლემებთან. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ნობელის პრემიის ლაურეატს ან საქვეყნოდ ცნობილ მწერალს, ხდება მათი ხელშეწყობა პუბლიკაციის შემდეგ. თუ პირველად როცა აქვეყნებს მწერალი თავის რომანს, წერს ინგლისურად და ჰყავს გამომცემელი ნახევარი მილიონი დოლარის ინვესტიციით, ასევე უკეთებს წიგნს რეკლამას და კიდევ უამრავ საჭირო ქმედებებს ატარებს მისი პოპულარიზაციისთვის, შესაძლოა მოახერხოს თავისი წიგნის მოხვედრა ბესტსელერთა სიაში. მაგრამ იმ მწერალს, ვისი წიგნიც თარგმნილია ინგლისურად და პირველად გამოდის, სავარაუდოდ არ ექნება საშუალება გამოიყენოს მარკეტინგის და გამომცემლობის ამდენი რესურსი. იმ დროს როდესაც ზოგიერთი ექსპერტ-მიმოხილველი თავს ცუდად გრძნობს გადათარგმნილი წიგნების განხილვისას, რადგან ხელი არ მიუწვდება წიგნის ორიგინალ ვერსიაზე, სხვები სულ არ განიცდიან სინდისის ქენჯნას, რომ აგდებით მოიხსენიონ თავად მხატვრული თარგმანის პრაქტიკა. საკმაოდ მაღალი რეპუტაციის მქონე ლიტერატურულ-კულტურულ ჟურნალში „ატლანტიკი“, რომელიც თვეში ერთხელ გამოდის გამოქვეყნდა ბენჯამინ შვარცის, ჟურნალის წიგნებზე რეცენზიების რედაქტორის სტატია სათაურით: „რატომ ვუკეთებთ წიგნებს რეცანზიას“ აღნიშნავს რომ „ატლანტიკი“ მცირე რაოდენობის რეცენზიებს აქვეყნებს თარგმნილ ლიტერატურაზე. ითვალისწინებს რა შეზღუდვების ტენდენციას შვარცი აღიარებს, რომ ეს არის „ნახევრად სიმართლე“: ჩვენ ძირითადად აქცენტს ვაკეთებთ პროზის სტილზე ჩვენს შეფასებებში. ამკარად უფრო ძნელია ამის გაკეთება თარგმნილი ლიტერატურის დროს, რადგან ორივე, მკითხველიც და რეცენზენტიც ვეცნობით არა ავტორის ნაწერს, არამედ

მთარგმნელის ნამუშევარს. აქედან გამომდინარე მხოლოდ ცოტა თარგმნილ ნაწარმოებებს ვუკეთებთ რეცენზიას.“

პროზის სტილი ზოგიერთ თარგმანში მართლაც ხასიათდება ნაკლოვანებებით, მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას ორიგინალ ინგლისურ ნამუშევრებზე, ამიტომ ასეთი საბაზით ნაკლები ყურადღების გამოხატვა მსოფლიო ლიტერატურის მიმართ დამსახურებულ ეჭვს იწვევს. რობერტო კალასომ აშშ-ს თანამედროვე კულტურა „პროვინციალიზმის და იმპერიალიზმის ლეტალურ ნაზავს“ შეადარა, წიგნის რეცენზენტების ასეთი დამოკიდებულება შესანიშნავი მაგალითია იმისი, თუ რას გულისხმობს ამ სიტყვების ავტორი.

არ იქნება მართებული, რომ შეჯამება ასეთ მკაცრ ტონალობაში მოვახდინოთ. ინგლისურენოვანი სამყარო, განსაკუთრებით მისი მთავარი ქალაქები სულაც არ არიან მონოლინგუური, როგორც მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს ამ ანგარიშის გაცნობისას. ამანდა ჰოპკინსონი, მხატვრული თარგმანის ბრიტანული ცენტრის დირექტორი აღნიშნავს, რომ ლონდონის სკოლების ბავშვები 350-ზე მეტ უცხო ენაზე ლაპარაკობენ სახლში. ვინც კი ოდესმე მოხვედრილა ნიუ-იორკის მეტროში დამეთანხმება, რომ ალბათ ვერსად შეხვდება ასეთ მრავალენოვან გარემოს, მაგრამ იგივე ადამიანი მეტროდან წიგნის მაღაზიაში თუ შევა, იქ სრულიად სხვა სიტუაცია დახვდება: ყველაფერი მხოლოდ ინგლისურად. ინგლისურენოვანი ქვეყნების გამოწვევაა არა ის, რომ გახდეს მრავალენოვანი, რომელიც უკვე ვართ, არამედ ის რომ ითარგმნოს „პოლიგლოსია“, რაც გვხვდება სკოლაში, ქუჩებსა თუ მეტროში დაიდოს ჩვენს წიგნის თაროებზეც.

არსებობს მრავალი მთარგმნელი, რედაქტორი, გამომცემლობა, აგენტი, მასწავლებელი, სწავლული, ინსტიტუტები და ორგანიზაციები რომლებიც თავს ვალდებულად თვლიან შემოიტანონ საერთაშორისო ნაშრომები ინგლისურში. ბევრია გასაკეთებელი და შესაქმნელი. ინგლისურ ენაზე თარგმნა დაბალ მაჩვენებლზეა დასული და საჭიროა მისი ამაღლება, დრო აღარ იცდის. იმედისმომცემი ახალი ინიციატივები წამოვიდა ბოლო ხუთი წლის მანძილზე ინგლისურენოვან და სხვა დანარჩენი ქვეყნებიდან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აშშ და შედეგებიც საგრძნობია. ბევრი ადამიანი თავს ვალდებულად თვლის, რომ გლობალური დამპყრობელი ენები აქციოს საკომუნიკაციო საშუალებად და დარწმუნებული ვართ ეს ასეც იქნება. საერთაშორისო PEN-მა და რამონ ლულის სახელობის ინსტიტუტმა დიდი პატივისცემით ჩააბარეს ეს ანგარიში ქვეყნებს შორის დამაკავშირებელი ხიდის შემქმნელების დიდ ოჯახს იმ იმედით, რომ ეს ყველაფერი გამოგვადგება ამოცანის ერთად შესრულებაში.

NOTES

- 1 David Crystal, *The Language Revolution* (Cambridge, UK: Polity, 2004), p. 8.
- 2 Reported in "New Dawn in a Shared Language," by Andrew Yeh, *The Financial Times*.
- 3 See Graddol, "The Decline of the Native Speaker," in Graddol, David and Ulrike H. Meinhof, editors, *English in a Changing World* (Milton Keynes: Catchline, 1999), pp. 57-68; cited by Ostler, op. cit. p. 516.
- 4 Cf. his article "English," in *The World's Major Languages*, ed. Bernard Comrie (Oxford University Press, 1990), pp. 79-82.
- 5 In a speech titled "Passive Imperialism," delivered to the Global Fellows Program of the International Institute at the University of California at Los Angeles, on November 23, 2004.
- 6 *Empires of the Word*, p. 517.
- 7 "The World as India: Translation as a passport within the community of literature," *Times Literary Supplement*, June 13, 2003.
- 8 All the information in this paragraph is taken from James Brooke, "For Mongolians, E is for English, and F is for the Future," *New York Times*, February 15, 2005.
- 9 See www.foreigninvestment.cl
- 10 For a particularly egregious example of such thinking, see Samuel P. Huntington, *Who Are We?* (New York: Simon and Schuster, 2004),.
- 11 *Language Revolution*, p. 50.
- 12 Two excellent sources of further information about languages on the verge of extinction are the website of the Foundation for Endangered Languages, based in the UK (www.ogmios.org) and the website of the Endangered Language Fund, based in the US: www.ling.yale.edu/~elf/
- 13 See www.linguistic-declaration.org
- 14 Translated by Maja Visenjak-Limon.
- 15 Cited from Eckermann's *Gespräche mit Goethe in den letzten Jahren seines Lebens* (1835) by David Damrosch, in *What is World Literature?* (Princeton University Press, 2003), p. 1.
- 16 Mikhail Bakhtin. *The Dialogic Imagination*, ed. By Michael Holquist, trans. By Caryl Emerson and Michael Holquist. Austin : University of Texas Press, 1992, p. 61.
- 17 Damrosch, op. cit., p. 7.
- 18 *Editions du Seuil*, 1999; English translation, Harvard University Press, 2004.
- 19 Casanova, 352.
- 20 Casanova, XIII.
- 21 For example, see the statistics on US Book Production on Bookwire, one of Bowker's portals: www.bookwire.com/bookwire/decadebook_production.html
- 22 "English-Speaking Countries Published 375,000 New Books Worldwide in 2004," Bowker News Release. October 12, 2005, New Providence, New Jersey. Media contact: dteague@teaguecommunications.com
- 23 Personal communication from Andrew Grabois of Bowker, March 9, 2005.
- 24 (Routledge, 1995). See also Venuti's *The Scandals of Translation: Towards an Ethics of Difference* (Routledge, 1998), for slightly more recent statistics.
- 25 The data appeared in the 5th of a series of commentaries on the difficulties of funding translation into English by John O'Brien of the Dalkey Archive Press, published in *Context: A Forum for Literary Arts and Culture*; http://www.centerforbookculture.org/context/no19/translations_5.html
- 26 "Literary Translation in the United States," in *Publishing Research Quarterly* (June, 2006).

27 Further general statistical information about the global translation economy and English's place in it is provided by UNESCO in its Index Translationum, which provides cumulative bibliographical information on books translated and published in about one hundred of the UNESCO member states since 1979.

28 "Is Korean Language Doomed?" by Kim Ki-tae, *The Korea Times*, January 20, 2006.

29 "Lost or Found in Translation: Translations' support policies in the Arab world," a report commissioned by the Next Page Foundation in Sofia, Bulgaria, gives an extremely helpful context to the aforementioned UNDP report and takes serious issue with some of the figures it cites. See www.npage.org/news/arabrep.html.

30 See, in this respect, the comments on the importance of translation into English made by many PEN Centers (in response to the International PEN Questionnaire on Translation and Globalization) in Chapter 2 of this document.

31 The panel took place in April of 2006, as part of PEN American Center's second annual international literary festival, PEN World Voices: The New York Festival of International Literature. Participants on the panel were Roberto Calasso, of Adelphi Edizione in Italy, Boris Akunin, the wellknown detective novelist and former deputy editor of the Soviet and post-Soviet magazine *Foreign Literature*, Amanda Hopkinson, head of the British Centre for Literary Translation at the University of East Anglia, Richard Howard, a distinguished translator from the French into English, Elizabeth Peellaert, a distinguished translator from English into French, and Raymond Federman, a scholar and writer. The panel was moderated by Steve Wasserman, former editor of the *Los Angeles Times Book Review*.

32 Published in *To My American Readers*, a free magazine published by the French Cultural Services, the Villa Gillet of Lyon and PEN American Center on the occasion of the 2006 PEN World Voices: The New York Festival of International Literature. See www.frenchbooknews.com

33 See <http://literarytranslators.org/promo.htm>

34 See www.acls.org

35 For an extensive and very useful discussion of the effects of globalization on translators working primarily outside of the literary and academic worlds, with special emphasis on minority languages, see Michael Cronin's excellent *Translation and Globalization* (Routledge, 2003).

36 Written by Stephen Kinzer, the article was published on July 26, 2003.

37 *The Atlantic Monthly*, January/February 2004.

მხატვრული თარგმანი: საერთაშორისო პანორამა

სიმონა სკრაბეკის მიერ

წინა თავი ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნებში, ამერიკის შეერთებული შტატებზე განსაკუთრებული აქცენტის ფონზე, მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებულ სიტუაციების განხილვას მიემდგნა. ამ თავში კი – საერთაშორისო მასშტაბით მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებული ძირითადი ტენდენციების მიმოხილვაა მოცემული; აქვე შევეხებით წინა თავში უკვე ნახსენებ პრობლემას, კერძოდ, კი სხვა ენებიდან ინგლისურად თარგმანის შემცირების მიზეზებს.

წინამდებარე კვლევაში განხილული საკითხების ანალიზი ემყარება კითხვარის პასუხებს, რომელიც „PEN International“-მა სხვადასხვა „PEN-ცენტრებიდან“ მიიღო. გაერთიანებული სამეფოდან, ავსტრიიდან, ახალი ზელანდიიდან და გარკვეულწილად ფილიპინებიდან მიღებული პასუხები იძლევა დამატებით ინფორმაციას ინგლისურ საგამომცემლო სფეროში არსებული კომპლექსური სიტუაციის შესახებ. აზიაში წიგნის თავისუფალი ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებული მონაცემები, ჩინეთის გარდა, მიღებულია ანგარიში იაპონიიდანაც, მაგრამ მათ ზოგადი ხასიათი აქვს. კითხვარებზე პასუხები საშუალებას იძლევა შევადაროთ საფრანგეთიდან, ნიდერლანდებიდან და კატალონიიდან მიღებული ანგარიშები, ფლანდრიის „PEN-ცენტრიდან“ მიღებულ ანგარიშებს, და ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან (ლიტვა, უნგრეთი, სლოვენია, ბოსნია-ჰერცეგოვინა და მაკედონია) მიღებულ მოსაზრებებს. ამასთან, სან მიგელ დე ალენდეს „PEN-ცენტრიდან“ მიღებული კომენტარები ნათელს ჰფენს სამხრეთ ამერიკაში (შესულია არგენტინის ანგარიშში) არსებულ სიტუაციასაც. თარგმანებთან დაკავშირებულ კითხვარებზე „PEN-ცენტრებიდან“ მიღებული ყველა პასუხი შეგიძლიათ იხილოთ სრული სახით „Diversity“-ს ვებ-გვერდზე (www.diversity.org.mk).

2.1. საზღვარგარეთის პროექტები

სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობა

ცენტრებიდან მიღებულ პასუხებში ძირითადი განსხვავება სტატისტიკურ მონაცემთა ხელმისაწვდომობას ეხება. საკვირველია, როცა რამდენიმე ცენტრი ასაბუთებს, რომ მათ არ აქვთ სანდო მონაცემები იმის შესახებ, თუ რა სახის ნაშრომები ითარგმნება უცხო ენებზე. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ინფორმაციის ნაკლებობა არ არის გამოწვეული რესპონდენტთა მიერ კითხვარების უგულვებელყოფით.

ინფორმაციის ნაკლებობის ძირითად მიზეზს ამგვარი მონაცემების შემგროვებელი და გამომქვეყნებელი ინსტიტუტების არარსებობა წარმოადგენს. ზოგ შემთხვევაში შეიძლება ავხსნათ კიდევ, თუ რატომ არ ანიჭებენ კონკრეტული უწყებები დიდ მნიშვნელობას იმას, რასაც მნიშვნელოვნად თვლის ევროპული ქვეყნების უმეტესობა. საყურადღებოა, რომ იმ ქვეყნებს შორის, რომლებშიც მონაცემთა ნაკლებობა შეინიშნება არიან მექსიკა, ფილიპინები და ახალი ზელანდია. მექსიკური ლიტერატურა ესპანურ ენაზე იწერება, ახალზელანდიური კი - ინგლისურ ენაზე. ბუნებრივია, მათი მთავრობები არ არიან დაინტერესებულები ლიტერატურის საზღვარგარეთ რეკლამირებით, რადგანაც ამ ენების წყალობით, მათი თარგმანის აუცილებლობის გარეშეც, მარტივად აღწევენ მკითხველთა ფართო წრეებს. უფრო მეტიც, ავტორებს შესაძლებლობა აქვთ ნებისმიერ ქვეყანაში გამოსცენ თავიანთი ნაწარმოებები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი ნაშრომების თარგმანზე დადებული ხელშეკრულებების დიდი რაოდენობა შესაძლებელია საზღვარგარეთაც ინახებოდეს, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვნად ართულებს მათ შესახებ მონაცემების მოძიებას.

ყოველივე ეს მწვავე პრობლემების წინაშე გვაყენებს. ისმება კითხვა: მექსიკასა და ახალ ზელანდიას საკუთარი ლიტერატურული კულტურები გააჩნიათ თუ არა? მსოფლიოში მრავალი ლიტერატურული კულტურა არსებობს, რომლებსაც საერთო ენები აქვთ, და ამიტომაც ხშირად რთულია მათ შორის საზღვრების დადგენა. ეს საკითხი უაღრესად პოლიტიზირებულია, და კულტურული თვითმყოფადობის საკითხებს ეხება. ის ასევე, პრაქტიკულ პრობლემებსაც ქმნის, მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ თუ არა, რომ ავტორი, რომელიც დიდი ხანია ცხოვრობს ევროპაში და მისი ნაშრომების უმეტესობა საზღვარგარეთთაა გამოცემული, მისი მშობლიური ქვეყნის ლიტერატურულ ტრადიციის გამგრძელებელია? გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ მრავალი ხელისუფლება ამ პრობლემას, სტატისტიკური მონაცემების შედგენის დროს, გვერდს უვლის.

გაერთიანებული სამეფოსა და ავსტრალიის „PEN-ცენტრების“ მიერ ინგლისური წიგნების ადგილობრივ ბაზრებთან დაკავშირებით მოწოდებული კონკრეტული პასუხები, რომლებიც შემდეგ ნაწილშია მოცემული, დაგვეხმარება ამ უზარმაზარ ერთელოვან ბაზართან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხის გარკვევაში .

ფილიპინებში ეს საკითხი მეტად კომპლექსურია, რადგან ქვეყანაში რამოდენიმე ადგილობრივი ენაა და თანაც ლიტერატურული პროდუქცია უხვად გააჩნიათ, როგორც ინგლისურ, ასევე ესპანურ ენებზე. ერთის მხრივ, ამგვარ კომპლექსურ ლინგვისტურ კონტექსტში სტატისტიკის წარმოება მთავრობისთვის ნამდვილად ღამის კოშმარს

დაემსგავსებოდა. მეორეს მხრივ, სანდო მონაცემების არარსებობა მექსიკაში, ახალ ზელანდიასა და ფილიპინებში, შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ეს ქვეყნები, ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით, ნაკლებად მონაწილეობენ ქვეყნებს შორის ლიტერატურული ურთიერთობის განვითარების საკითხებში.

ევროპული ლიტერატურის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ.

ევროპაში სრულიად განსხვავებული მიდგომები არსებობს მხატვრული ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის საკითხების მიმართ. ბელგიის მთავრობა გვთავაზობს დაწვრილებით სტატისტიკას ფლამანდიურ ლიტერატურაზე და ფლამანდიური ნამუშევრების საზღვარგარეთ პოპულარიზაციაზე. სლოვენიაშიც მოგვაწოდა ქვეყნის მასშტაბით საზღვარგარეთ გამოცემული ყველა ნამუშევარი დაწვრილებითი კატალოგი ინტერნეტის საშუალებით.

„PEN-ცენტრებიდან“ მიღებული პასუხები საშუალებას იძლევა შეიქმნას ერთგვარი რუკა, რომელზედაც ქვეყნებს შორის ლიტერატურული ურთიერთობის სიხშირე აისახება, რაც წინამდებარე თავის მეორე ნაწილში განხილული ექვსი შემთხვევა ადასტურებს. ევროპა, თავის თითქმის ოცდაათი ენით, მჭიდროდ არის დაკავშირებული მსოფლიო ლიტერატურასთან. ამ ლიტერატურულ ურთიერთობებს ემატება ჩინურ და იაპონურ ენებზე (ძირითადი აზიური ენები), ინდო-ჩინურ (მაგ. ვიეტნამური, მალაიზიური და კორეული) და ზოგიერთ ინდურ ენებზე შესრულებული თარგმანები. არ ითარგმნება აფრიკულ ენებზე და, გასაკვირია, მაგრამ არცერთ „PEN-ცენტრს“ არ უხსენებია არაბულ ენაზე შესრულებული ერთი ნაშრომიც კი.

ინგლისური ენა, როგორც „სასარგებლო შუამავალი“

სიტუაცია სრულიად განსხვავებულია, როდესაც საქმე ინგლისურენოვან ავტორებს ეხება, რომლებსაც ნაშრომების თარგმნა მასობრივ ბაზარზე გასასვლელად არ სჭირდებათ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბევრ ქვეყანაში, სადაც ინგლისური არ არის ოფიციალური ენა, იმ მკითხველების რაოდენობა იზრდება, რომლების უარს ამბობენ თარგმანებზე და წიგნებს ორიგინალში - ინგლისურ ენაზე კითხულობენ. ეს, ფაქტიურად, ასეც არის ნიდერლანდების სამეფოში. შედარებით ნაკლებად, მაგრამ იგივე სიტუაციას ვხვდებით სკანდინავიურ ქვეყნებშიც. მიუხედავად ამისა, ინგლისურ ენაზე შექმნილ ბესტსელერებს მაინც გააჩნიათ ოცდაათ ენაზე თარგმნის პერსპექტივა და - თუ ეს რაღაც განსაკუთრებული წარმატების მქონე ნაწარმოებია - არა-ევროპულ ენებზეც კი.

ლიტვური „PEN-ცენტრი“ განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს გავრცელებულ მოვლენაზე, რომელიც ყველაზე აშკარად ამ ქვეყნის მაგალითზე გამოიკვეთა. ლიტვაში ლიტერატურული თარგმანების უმეტესობა ინგლისურ ენაზე სრულდება. კითხვარების რესპოდენტებმაც დაადასტურეს, რომ ნაშრომების ინგლისურ ენაზე თარგმნა, მართალია ხელს უწყობს ქვეყნის საზღვარგარეთ პოპულარიზაციას, მაგრამ რაც შეეხება ინგლისურენოვანი წიგნების ბაზარზე მიღწევას, ფაქტიურად, შეუძლებელი აღმოჩნდა. ლიტველი ლაიმანტას იონუსისის მიერ გამოყენებული ფრაზა „სასარგებლო შუამავალი“, ფაქტიურად შეესაბამება სიტუაციას. წიგნები ითარგმნება ინგლისურ ენაზე მიუხედავად იმისა, რომ მათი ინგლისურენოვან მკითხველებამდე მისვლის

მცირე შანსი არსებობს. ამ შემთხვევაში ავტორის მიზანია ისეთი შუამავლის პოვნა, რომელიც შეძლებს დროულად უზრუნველყოს ნაწარმოების უცხო ენებზე (როგორც არის ფრანგული და გერმანული) თარგმნა. უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელი მწერლების მიმართ ასეთი შუამავლები მეტად გახსნილები არიან.

ინგლისურ ენაზე მთარგმნელების ნაკლებობა

პატარა ერების ლიტერატურის საერთაშორისო ასპარეზზე გატანის კიდევ ერთ ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ინგლისურ ენაზე კომპეტენტურ მთარგმნელთა ნაკლებობა, რაც კარგად ჩანს იმ პასუხაუცემელი კითხვებიდან, რომლებიც ევროპული ლიტერატურის უდიდეს ენებს (ფრანგული, გერმანული და იტალიური) ეხება. სამწუხაროდ, ადგილი აქვს ერთის მხრივ უმცირესობათა ენებს შორის და მეორე მხრივ, გამეფებულ ინგლისურ ენასთან ინტერესთა კონფლიქტს. გასაკვირი აღარ არის მაკედონიის „PEN-ცენტრების“ საჩივარი მთარგმნელთა რაოდენობის სიმცირეზე, რადგანაც ის ინგლისის „PEN-ცენტრების“ კომენტარების სარკისებრი ანარეკლია, რომელიც უმცირესობათა ენების თარჯიმნების მომზადების აუცილებლობას ეხება.

გაერთიანებულ სამეფოში თანამედროვე ენების სპეციალისტების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ მხატვრული თარგმანის ბრიტანული ცენტრის დირექტორის ამანდა ჰოფკისის აზრით „ზოგიერთი ენა გადაშენების საფრთხის ქვეშ არიან“. გაერთიანებული სამეფოს უნივერსიტეტების ფილოლოგიურ ფაკულტეტებს სხვადასხვა ენების სწავლებაზე უარის თქმა მოუხდათ. ბერძნული და ლათინური ენებიდან მთარგმნელებმა განათლება კერძო სკოლებში მიიღეს. შედარებისთვის, მთარგმნელთა დიდი ნაწილი, რომლებიც სათანადოდ ფლობენ თანამედროვე ენებს ემიგრანტთა შთამომავლები არიან ან ბრიტანელები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ. გაერთიანებული სამეფოს „PEN-ცენტრები“ მიიჩნევენ, რომ ბრიტანეთის სკოლებსა და უნივერსიტეტებში შეუძლებელია უცხო ენის სათანადო დონეზე შესწავლა - რაც დიდ შეშფოთებას იწვევს.

სუბსიდიებით გამოწვეული დისბალანსი

აღსანიშნავია, კვლევაში მონაწილე ევროპულ ქვეყნებს შორისაც არსებული განსხვავებები. ეკონომიკური პრობლემები, რომლის წინაშეც მაკედონია აღმოჩნდა, იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციისათვის საჭირო სუბსიდიების ნაკლებობაა. უცხოური გამომცემლობები მოითხოვენ, რომ თარგმანი წარმომავლობის ქვეყნის მიერ იყოს დაფინანსებული. ევროპის უფრო ღარიბი ქვეყნებიც უსიამოვნო ფაქტის წინაშე დადგნენ, რაც იმაში გამოიხატება, რომ მხატვრული თარგმნილი ლიტერატურის ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ვიდრე მისი საგამომცემლო უნარები ან მისი ლიტერატურის მნიშვნელოვანი დამსახურებები.

2.2 თარგმნილი ლიტერატურის მიღება

ინგლისურენოვანი ბაზრების შიდა სტრუქტურა

თარგმნილ ნაშრომთა პროპორციულობა წარმოადგენს ქვეყნების ერთგვალ პროცენტულ მაჩვენებელს. პირველი თავის შესაბამისად, ამერიკის შეერთებულ შტატებში შესრულებული თარგმანების რაოდენობა ძალიან მწირია. გაერთიანებულ სამეფოში ყველაზე ოპტიმისტური სტატისტიკით ითარგმნება წიგნების 6%, თუმცა ეს ციფრი მოიცავს ტექნიკურ და სამეცნიერო თარგმანებს. მხატვრული ლიტერატურის თარგმანი შეადგენს მხოლოდ 2 %. მთლიანად არსებულიდან პროცენტებში გამოხატული თარგმნილი ლიტერატურის რაოდენობა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულ სურათს გვაძლევს.

ავსტრალიაში ამ მხრივ სიტუაცია კიდევ უფრო მძიმეა. სიდნეიში ბარბარა მაკგილვრეისა და მისი თანამშრომლების თქმით, წელიწადში მხოლოდ ნახევარი ათეული წიგნზე ნაკლები ითარგმნება. ახალი ზელანდიის „PEN-ცენტრის“ პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ მკითხველებმა და თვით ლიტერატურულმა კრიტიკოსებმაც კი ხშირად არ იციან, რომ ისინი კითხულობენ თარგმანს. ამის მიზეზი კი მდგომარეობს იმაში, რომ ამ ფაქტზე არ არის ყურადღება გამახვილებული. უფრო მეტიც, ქვეყანაში გაყიდული წიგნების უმრავლესობა გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-სა და ავსტრალიაში გამოცემულია და ასევე ახალი ზელანდიის წიგნის დახლებსა და ბიბლიოთეკებში მოძიებული მხატვრული ნაწარმოების უმეტესობაც საზღვარგარეთ არის დაბეჭდილი. ახალზელანდიელ გამომცემლებს, ფაქტიურად, გავლენა არ აქვთ ლიტერატურული თარგმანის პოლიტიკაზე.

ავსტრალიელი რესპონდენტებიც ასევე აღნიშნავენ ქვეყანაში წიგნების საგამომცემლო საქმიანობის სავალალო მდგომარეობას. თარგმნილი ნაშრომების ავსტრალიურ ბაზარში იმპორტირებული წიგნები ამერიკის შეერთებული შტატებიდან და გაერთიანებული სამეფოდან დომინირებს. უფრო მეტიც, ავსტრალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაფორმებულმა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებამ განაპირობა ის, რომ ამერიკელი წიგნის გამყიდველები ჩამოფასებულ წიგნებს ძალიან იაფად ყიდიან. იგივე სიტუაციაა სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებშიც, თუმცა შედარებით ნაკლებად. შექმნილი სიტუაცია გამომცემელთა გაერთიანებებისა და მრავალ ნაციონალური ფირმებისათვის სრულიად მისაღებია. ხშირად ურთიერთობა ნაცვალგების პრინციპზე დაყრდნობით მიმდინარეობს - მაგალითად, შეიძლება

მოვიტანოთ „Penguin India“-სა და ჰეინემანის ხანმოკლე გამოცემა „Africa Series“. თუმცა, ხსენებულ ფაქტზე ძალიან მოქმედებს ერთობლივი ბეჭდვა, გადაფუთვა და საერთაშორისო მასშტაბის დისტრიბუცია.

ინგლისის „PEN-ცენტრი“ ადასტურებს ერთი და იგივე წიგნის სხვადასხვა ფასად გაყიდვის ფაქტს. წიგნები იყიდება საცალო ფასად ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოებში და შემდეგ დარჩენილი რაოდენობა ვრცელდება უფრო ღარიბ ქვეყნებში. სამხრეთ აფრიკაში ბრიტანული ენციკლოპედია გაიყიდა თვითღირებულების ათჯერ და ხშირად ასჯერ ნაკლებადაც, იმისათვის, რომ შავ ბაზარზე პირატული ვერსიები არ გამოჩენილიყო.

ინგლისურენოვან სამყაროში წიგნის ბიზნესის საგამომცემლო და საცალო ვაჭრობა კონგლომერატებისა და ქსელების ხელშია. ორ მულტინაციონალურ კომპანიას - გერმანულ ბერთელსმანის ჯგუფსა და ფრანგულ Hachette ჯგუფს ლომის წილი უჭირავთ საგამომცემლო ბაზარზე. ორივე ჯგუფი ბესტსელერებზეა ორიენტირებული. ავტორები უზარმაზარ თანხებს იღებენ ამგვარ ნამუშევრებში. თუმცა, გაერთიანებულ სამეფოში ახალი ტენდენციაც არის - უავტორო ბესტსელერები. მაგალითად, თვით „Bloomsbury“-ს გამომცემლობამ დაიწყო ფეხბურთელთა და მოდის სფეროს წარმომადგენელთა ავტობიოგრაფიებით, რომლებსაც არ ჰყავთ ავტორები. ეს არის მასებზე გათვლილი „ლიტერატურა“, რომელიც არაფრისმთქმელია. თითქოს და, ინდუსტრიაზე გამავალი გზა გარკვეული კარიერის შექმნაზეა ორიენტირებული. ყველაზე ხშირად ითარგმნება დეტექტივები და ეროტიკული, პორნოგრაფიული შინაარსის მოთხრობები. თუმცა, დამეთანხმებით, რომ ამგვარი ნაშრომები ლიტერატურად არ განიხილება. მათ შეიძლება რაღაც თემებზე უცხოური ეგზოტიკური ვარიაციები უწოდოთ.

ბერძენი და ლათინურენოვანი კლასიკოსები რამოდენიმეჯერ გამოიცა ინგლისურ ენაზე, ხშირად ახლებური თარგმანით. ამის მაგალითია „მაკმილანის“ სერიები ან „Oxford University Press“-ისა და „Penguin“-ის მიერ გამოცემული კრებულები. ამგვარი ინტერესი შეიძლება იმით აიხსნას, რომ პლატონი და მარკუს ავრელიუსი ვერ მოითხოვენ საავტორო უფლებების დაცვას, რაც ამგვარი ნაშრომების გამოცემას ბევრად

აიაფებს. მეორეს მხრივ, ლათინური და ბერძნული ენების შესწავლამ დრამატული ვარდნა განიცადა და უკვე აღარ არსებობს ორიგინალ ენებზე შესრულებული ამგვარი ნაშრომების ბაზარი.

ავსტრალიური „PEN-ცენტრის“ აზრით, ეს ასპექტი უაღრესად მნიშვნელოვანია. ავსტრალიელ მკითხველებს ძლიერი ინსტიქტი გააჩნიათ, თუმცა წიგნის ბიზნესი, ფაქიურად, დამოუკიდებელი გამომცემლების შემთხვევაში, მკითხველებზეა დამოკიდებული, ინდივიდებზე. შესაბამისად ბაზარი თარგმნილ პოეზიასა და ლიტერატურას ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

პოსტ-კოლონიალური ქვეყნების კომპლექსურობა

ინგლისურენოვანი ქვეყნების, კერძოდ კი თანამეგობრობის, კიდევ ერთი მახასიათებელია მათი რთული ეთნიკური შემადგენლობა. ახალზელანდიურმა „PEN-ცენტრმა“ ყურადღება მიაქცია ამ ასპექტს. რა წარმომავლობისაც არ უნდა იყვნენ ემიგრანტები ვალდებული არიან ისწავლონ ინგლისური ენა. მათ ქვეყანაში მეორე ოფიციალური ენა - მაორიც არსებობს, ამიტომაც ამ ორ ენას შორის თარგმანებაც სრულდება. ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა აიღო სამოანურ, მაორისა და კუკის ენებზეც დაბეჭდოს სახელმძღვანელოები კუკის კუნძულებისთვის, ასევე ტონგურ და ნიუეს ენებზე. მიუხედავად ამისა, ამ მასალის მხოლოდ მცირე რაოდენობა შეიძლება ჩაითვალოს ლიტერატურული ხასიათის მქონედ.

ახალ ზელანდიაში მცხოვრები ჩინელი მოსახლეობა საკუთარ გაზეთებს გამოსცემენ და ამ ბოლო დროს ჩინური პოეზიის ინგლისურ ენაზე თარგმნაც დაიწყეს.

ხორვატიულმა საზოგადოებამ სერბულ-ხორვატიულ და ინგლისურ ენებზე, მართალია მცირე რაოდენობით, ლიტერატურული ტექსტები გამოსცა დაიწყეს. მსგავს სიტუაციას, კოლონიალური წარსულის მქონე მრავალ სხვა ქვეყანაშიც ვხვდებით, სადაც მუდმივი ემიგრანტებისგან შემდგარ საზოგადოებაში დომინანტი ენა თანაარსებობს სხვა ენებთან ერთა _ მათ შორის მშობლიური ენებიც იგულისხმება,

ბრიტანეთში მსგავსი სიტუაცია შეიძლება მოვიძიოთ ლონდონის დაწყებით სკოლებში, სადაც ქალაქის სათამაშო მოედნებზე 350 ენაზე მოლაპარაკე ბავშვები დარბიან.

ემიგრანტ საზოგადოებებში ადგილი აქვს მათ ორიგინალ ენებზე პოეზიის წერილობით და საგამომცემლო ფორმებით ზრდას. ასევე განახლდა ინტერესი ბრიტანული ეროვნული ენების, კერძოდ კი შოტლანდიურ-კელტური ენების მიმართ, თუმცა ყურადღება უმეტესად სალაპარაკო ენას ექცევა. ამასთან, ლიტერატურული თარგმანების აღმასვლა შეინიშნება უელსურ ენაზეც, რასაც „უელსური ენის საზოგადოება“ (Cymdeithas yr Iaith Gymraeg) დიდად უწყობს ხელს მწერლების, მთარგმნელებისა და იმ საგამომცემლო სახლების დაფინანსების გზით, რომლებიც ნაშრომებს გამოსცემენ მხოლოდ უელსურ ენაზე ან ორენოვანი ფორმატით.

ხსენებულ კონტექსტში შეიძლება გამოვყოთ ფილიპინების ეროვნული „PEN-ცენტრის“ გენერალური მდივნის ისაგანი კრუზის კომენტარები. ფრანგულ, გერმანულ, იაპონურ, მალაიზიურ, ესპანურ, ტაილანდურ და სხვა ენებზე შესრულებული ლიტერატურული ნაწარმოები რეგულარულად ითარგმნება ფილიპინის ადგილობრივ ენებზე. მიუხედავად ამისა, ინგლისურ ენიდან და პირიქით– ენაზე თარგმანი მასშტაბურად არ მიმდინარეობდა, სანამ ამერიკული კოლონიალური მმართველობა არსებობდა. ამის შემდეგ მრავალი მნიშვნელოვანი ინგლისური ლიტერატურული ნაწარმოები ითარგმნა ადგილობრივ ენებზე, კერძოდ კი ტაგალოგურ ენაზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კვლავ განახლდა ინგლისური ენიდან თარგმანების ინტენსიურობა. ინგლისურ ენა გახდა ერთგვარი დამაკავშირებელი სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებთან. ამის მაგალითს წარმოადგენს სენტ ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის“ თარგმანი ინგლისურიდან ტაგალოგურ ენაზე, რომელიც ბესტსელერი გახდა.

ინგლისურ ენაზე პირველი თარგმანები ამერიკელებმა შეასრულეს. ეს იყო ესპანურ ენაზე შექმნილი რიზალის „ნუ მეხები“, რომელიც ფილიპინებში ერთერთი ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებია. ხოლო რაც შეეხება ფილიპინური ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმანს ინგლისურ ენაზე – ძალიან მცირე რაოდენობითაა. რადგანაც ძალიან ცოტაა ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე სპეციალისტი, რომლსაც ამ ენებზე კითხვა მაინც შეეძლოს. ამგვარად, კულტურული მოძრაობა ძირითადად ერთი მიმართულებით მიდის. მაშინ, როდესაც ფილიპინელ მკითხველებს დიდი რაოდენობით ინგლისური ლიტერატურა აქვთ წაკითხული, ძალიან ცოტა ბრიტანულ და ამერიკულ მწერალს წაუკითხავს ფილიპინური ნაწარმოები.

ევროპა: ინტერესი ლიტერატურის მიმართ

უცხოური ლიტერატურის მეორე უკიდურესობას ვხვდებით პატარა და საშუალო ევროპულ ქვეყნებში. ბოსნია და ჰერცეგოვინაში, ფლანდრიაში, უნგრეთსა და მაკედონიაში ითარგმნება გამოცემული ახალი წიგნების თითქმის ნახევარი. აქ მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ თარგმნილ ნაშრომებს მცირე ფორმები გამოსცემენ წელიწადში ახალი დასახელების 150 ერთეულზე უფრო ნაკლებს, რომელთა გაყიდვები ყოველთვის ძალიან მწირია.

ლიტვაში 3 მილიონზე მეტი მოსახლეობით საშუალო საგამომცემლო ტირაჟი 2000-ს არ აღემატება - თუმცა ზოგიერთი ბესტსელერი 30,000-ს აღწევს. სლოვენიაში 2 მილიონიანი მოსახლეობით, თარგმნილი წიგნების ტირაჟი 20-დან (პოეზიის კრებულები) 25,000 (და'ვინჩის კოდი) მერყეობს. მხატვრული პროზის უმეტესობა 1000-დან 1500 ეგზემპლარამდე, ხოლო ხარისხიანი რომანები - 400-600 ეგზემპლარი იყიდება. ამასთან, მცირე ქვეყნებში შეუზღუდავი რაოდენობით გამოდის მცირე ტირაჟიანი გამოცემები. მექსიკის სან მიგელ დე ალლენდეს „PEN-ცენტრის“ მდივანმა - ლუცინა ქეთმენმა აღნიშნა, რომ ზოგადად ძალიან მცირე რაოდენობით წიგნი იყიდება და რომ მათი ტირაჟი 3,000-ს იშვიათად აღემატება.

კატა კულავკოვა, მაკედონიის „PEN International-ის თარგმანებისა და ენის უფლებათა კომიტეტის“ პრეზიდენტი ამგვარი მცირე ლიტერატურული ბაზრების დადებით თვისებებზე საუბრობს. უნივერსალური ლიტერატურის თარგმანი სტრატეგიული გეგმის ნაწილია, რომელიც ბიბლიოთეკის შევსებაზეა ორიენტირებული. ამგვარი მიდგომა უაღრესად მნიშვნელოვანია გამომცემლებისთვის, რადგან ბიბლიოთეკებიდან შემოსული მოთხოვნები მცირე ტირაჟებად გამოსული წიგნების ფასების კომპენსირებას ახდენს. კულავკოვას ანალიზი ასევე ეხება სხვა მცირე და საშუალო ევროპულ ქვეყნებსაც, სადაც ეროვნული ენის პოპულარიზაციისა და გამდიდრებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია თარგმანების ხელის შემწყობი პოლიტიკის გატარება. თარგმანების საშუალებით მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან დამაკავშირებელი ერთგვარი ფანჯარა იხსნება, რაც ხელს ეწყობს უცხო ქვეყნის ლიტერატურის, კულტურისა და ტრადიციების ცოდნის გავრცელებას. თანამედროვე მწერლების ნაშრომებიდან

ფრაგმენტების ბეჭდვა ჟურნალებში, პრესასა და სხვა მედიაში ლიტერატურის თარგმანების საგანმანათლებლო ფუნქციაა.

უნგრეთის „PEN-ცენტრის“ გენერალური მდივანი და ცნობილი ლიტერატურული მთარგმნელი იანოს ბენიჰი აღნიშნავს, რომ მის ქვეყანას მაღალი ხარისხის თარგმანების დიდი ხნის ტრადიცია აქვს. აქედან გამომდინარე, უნგრეთი გვევლინება თარგმანის ფუნდამენტური თვისებების დამცველად. ის ფაქტი, რომ უნგრული ენა არ მიეკუთვნება ინდო-ევროპული ენების ოჯახს, მიგვანიშნებს, რომ ამ ენაზე და ენიდან შესრულებული თარგმანები ერთგვარ ლიტერატურულ რეკრეაციას საჭიროებს. ამ შემთხვევაში მთარგმნელებისათვის მიზნის მიღწევა უფრო რთულია, ვიდრე, მაგალითად ინგლისურიდან გერმანულზე ან ფრანგულიდან იტალიურ ენაზე ხარისხიანი თარგმანის შესრულების დროს. საუკეთესო უნგრელმა მწერლებმა დიდი ძალისხმევით შეძლეს მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი ნიმუშების თარგმნა. საბედნიეროდ, დღეისათვის უნგრეთში ლიტერატურული თარგმანების ერთგვარი ბუმი შეინიშნება.

ევროპის ლინგვისტური სიჭრელე

აშკარაა, რომ ინგლისურენოვანი ერები, სხვა ერების მსგავსად, უცხო კულტურებსა და ენებს საჭიროებისამებრ დაესესხებიან. კონტინენტური ევროპა ამ მხრივ უფრო მეტად კომპლექსურია, სადაც ზოგჯერ ლიტერატურული ნამუშევრების იმპორტ-ექსპორტთან დაკავშირებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ეთნიკური ფაქტორებიც მოქმედებენ. ამ შემთხვევაშიც უადრესად ინსტრუქციულია მაკედონიის მაგალითი. სახელისუფლებლო სუბსიდიები ეთნიკურობისა და წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით ნაწილდება, და არა ლიტერატურული დამსახურებების მიხედვით. მაკედონიაში ეროვნულ ლიტერატურაზე საუბრისას არა მხოლოდ მაკედონიურ ენაზე შესრულებული ნაშრომები იგულისხმება, არამედ ანბანურზეც. ხშირად გაურკვეველია ესა თუ ის ნაშრომი მაკედონიაში ალბანურ ენაზე მოლაპარაკეთა მიერ, არის შექმნილი თუ კოსოვოსა და ალბანეთში მცხოვრები ეთნიკური ალბანელების მიერ. სახელისუფლებლო სუბსიდიების განაწილებისას ბიუჯეტის 25%-ზე მეტი ავტომატურად გამოიყოფა ალბანურ ენაზე და ალბანური ენიდან თარგმანების შესასრულებლად, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პროპორციულად მცირდება

მაკედონიურ ენაზე და მაკედონიურიდან უცხო ენაზე შესასრულებელი თარგმანებისთვის ხელმისაწვდომი სუბსიდიები. ყოველივე ეს უარყოფითად აისახება მაკედონიური ლიტერატურული ნაშრომების საზღვარგარეთ პოპულარიზაციაზე.

ბელგიის მთავრობა ასევე უწევს სახელისუფლებო მხარდაჭერას ორ ლიტერატურულ მიმდინარეობას. ორივე მათგანი სცდება ბელგიურ საზღვრებს - ფრანგული ენის შემთხვევაში საქმე გვაქვს მსოფლიოს უმდიდრეს ლიტერატურულ ტრადიციებთან, ხოლო ფლამანდიური, ჰოლანდიური ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობას მიეკუთვნება, რომელიც ნიდერლანდებშია გავრცელებული. ფლამანდიური „PEN-ცენტრის“ წარმომადგენლის იზაბელ როსსაერთის აზრით, ჰოლანდიური ბაზრის გარეშე ფლამანდიური საგამომცემლო ინდუსტრია ძალიან მცირე ტერიტორიით შემოიფარგლება. იმის გამო, რომ არსებობს გარკვეული დამაბულობა ვალონიურსა (ე.ი. ფრანგული) და ფლამანდიურ ლიტერატურულ საზოგადოებებს შორის, ისინი ბევრად სუსტია აქ, ვიდრე მაკედონიაში, სადაც ორი ენა ძალიან ღარიბ ბიუჯეტს ინაწილებს.

ფერიდა დურაკოვიჩის აზრით, ბოსნია და ჰერცეგოვინაში წიგნის ბაზარზე კატასტროფული მდგომარეობაა. ბაზარი ძალიან პატარაა, ხოლო მცირე ტირაჟით გამოცემული წიგნები - ძვირი. ამასთან, ხალხი ძლივს შოულობს ფულს სახელმძღვანელოების საყიდლად, რომ აღარეფერი ვთქვათ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე. გამომცემლები ცდილობენ თავისი ბაზრების გაფართოვებას სერბულ-ხორვატიულ ენებზე მოლაპარაკე ქვეყნებზე (ხორვატია, სერბეთი და მონტენეგრო) გასვლის გზით. ამასთან, იმის გამო, რომ ეს ორი ქვეყანა ეკონომიკურად და პოლიტიკურად მსგავს სიტუაციაში არიან, ძალიან მცირე შანსი არსებობს იმისა, რომ ამგვარმა სტრატეგიამ სწრაფი შედეგი გამოიღოს. რეგიონში მყოფი გამომცემლები უმნიშვნელო ნაბიჯებს დგამენ უფრო დიდ ბაზრებზე გადასასვლელად.

იუგოსლავიის სამოქალაქო ომის წინ, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ფუნქციონირებდა ლიტერატურული მთარგმნელების ასოციაცია, რომელიც საკმაოდ კარგად მუშაობდა. ეს ასოციაცია ომის დროს დაიშალა და დღეისათვის მთარგმნელები საკუთარი ინიციატივით მოქმედებენ. არ არსებობს რაიმე სახელმწიფო გეგმა მნიშვნელოვანი ნამუშევრების ლიტერატურულ თარგმანებთან დაკავშირებით. ამასთან, სამოქალაქო

ომმა ღრმა ნაკვალევი დატოვა საზოგადოებაზე და დაბალი ხარისხის თარგმანებს ასრულებენ ისეთი ჯგუფები და ფიზიკური პირები, რომლებიც იდეოლოგიური და/ან ეთნიკური ნიშნით არიან მოტივირებულნი. საზღვარგარეთ მხოლოდ მცირე რაოდენობის კარგმა თარგმანებმა მოახერხა გასვლა (მილიენკო იერგოვიჩის „DževadKarahasan“, „AbdulahSidran“, „Mes’a Selimovic“ და „MakDizdar“). ამასთან სახელმწიფოს მხრიდან არანაირი მხარდაჭერა არ არსებობს.

ბოსნიური „PEN-ცენტრი“ ირწმუნება, რომ ბოსნია და ჰერცეგოვინა „Dayton Peace Accord“-სის აღმოჩენაა, რაც სახელმწიფოს შენების ერთგვარ მცდელობას წარმოადგენს. შესაბამისად ვერც ერთი სახელისუფლო სტრატეგია ეროვნულ ლიტერატურასა თუ თავისუფალი ბაზრების განვითარებისთვის ვერ იქნება ენების გარანტორი. პოლიტიკური ფაქტორები ფაქტიურად შეუძლებელს ხდის ლიტერატურულ გაცვლა-გამოცვლას მეზობელ და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან.

ლიტერატურული მთარგმნელების მდგომარეობა

მიუხედავად იმისა, რომ თარგმნილი ნამუშევრები ყოველთვის ბესტსელერები არ ხდებიან, მაკედონიასა და მსგავს ქვეყნებში არსებული ბიბლიოთეკური ქსელები უზრუნველყოფენ იმას, რომ ამგვარი ნაშრომები ათწლეულების მანძილზე ხელმისაწვდომი იყოს მკითხველებისთვის. ყოველივე ეს ასევე იმაზე მეტყველებს, რომ თარგმანები მაღალი ხარისხით სრულდება და რომ მთარგმნელები სიამოვნებას იღებენ საზოგადო პრესტიჟით მაშინაც კი, როდესაც მათი შრომა არასათანადოდ არის ანაზღაურებული.

ვინმემ შეიძლება აღნიშნოს, რომ მთარგმნელთა მდგომარეობა დიდად არ განსხვავდება გაერთიანებულ სამეფოში. ამანდა ჰოფკინსმა ლონდონში აღნიშნა: „ჩვენი უმეტესობა არ იცვლება და განაგრძობს თარგმნას მაშინაც კი, თუ ჩვენ ცუდად გვექცევიან“. მიუხედავად ყველაფრისა, ბრიტანელი მთარგმნელები შესაშურ მდგომარეობაში არიან მათი ავსტრალიელი კოლეგებისგან განსხვავებით. ამ ქვეყნიდან მიღებული გამოკითხვის პასუხებში აღნიშნულია, რომ „თარგმანი, ჩვეულებრივ, მიიჩნევა აუცილებელ ფაქტორად ემიგრანტებისთვის მომსახურების გასაწევად. შესაბამისად, ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მან სოციალური მომსახურების სახე მიიღო“.

საფრანგეთში ჩატარებული სიტუაციის თემატური კვლევისას ენ-სოფი სიმენელმა დაადგინა, რომ მთარგმნელებს შეუძლიათ მიიღონ 2,925-3,375 ევრო 150-გვერდიანი ნაშრომისთვის, მაშინ როდესაც ბრიტანეთში იგივე სამუშაოსთვის მთარგმნელი 4,423 ევროს, ხოლო ავსტრალიაში 3,700 ევროს მიიღებს. ზას პივის კვლევის მიხედვით, ჰოლანდიელი მთარგმნელი 150-გვერდიან ნაშრომში 6,712 ევროს მიღებას მოელოდა. სხვა ქვეყნებში შემდეგ სტატისტიკას ვხვდებით: სლოვენია - 2,100 ევრო; მაკედონია - 1,300 ევრო, უნგრეთი - 1,000 ევრო და ლიტვა - 945 ევრო. როგორც ხედავთ, ტარიფები განსხვავებულია.

არსებული გამოწვევები

გამოკითხვაში მონაწილე ყველა „PEN-ცენტრი“ ეთანხმება იმ აზრს, რომ საერთაშორისო კლიმატი დღეს მეტად მგრძობიარეა ლიტერატურული ნაშრომების მიმართ. ზოგიერთმა ცენტრმა აღნიშნა, რომ ეროვნული ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციისათვის მომუშავე უწყებებს დიდი წვლილი შეაქვთ ქვეყნის გავლენის სფეროს გამყარებაში. ლიტვური „PEN-ცენტრი“ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ცივი ომის შემდგომ ჰორიზონტების გაფართოვებამ მნიშვნელოვანად შეცვალა ევროპის პოლიტიკური კლიმატი; გააადვილა ევრო კავშირის ბაზარზე ყოფილი კომუნისტური ქვეყნების შესვლა; და შეცვალა აღმოსავლეთ ევროპის აღქმა და წარმოდგენები.

მიუხედავად რამდენიმე სერიოზული მოსაზრებისა, „PEN-ცენტრის“ პასუხები ზოგადად ოპტიმისტურია. მაგრამ წიგნის ბაზარების გლობალიზაცია კარგს არაფერს უქადის ლიტერატურულ საქმიანობას. ძალიან ხშირად უცხო ქვეყნის ლიტერატურისადმი ინტერესი, ეგზოტიკურისგან დიდად არ განსხვავდება. ავსტრალიის „PEN-ცენტრის“ წევრებმა აღნიშნეს, რომ „გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები ჩრდილს აყენებენ ავსტრალიურ ლიტერატურას“ და ამან განაპირობა ის, რომ ავსტრალიელებს მხოლოდ „ავსტრალიური სულის მატარებელი“ ნაშრომები აინტერესებთ.

მსგავს ფენომენს ვხვდებით აღმოსავლეთ ევროპაშიც. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული წიგნების უმეტესობაში საუბარია კომუნიზმის, ცენზურისა და რეპრესიების მსხვერპლზე, ასევე აღმოსავლეთ ევროპაში არსებულ ეკონომიკურ

კრიზისზე, რაც საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია. „ აზრი არ აქვს სასიყვარულო ან სათავგადასავლო თემაზე ნაწარმოებების შემოტანას, ხარისხსაც მნიშვნელობა არ აქვს, აქ ჩვენც ისედაც ბევრი გვაქვს ამგვარი ნაშრომები, ირონიულად აღნიშნავს სლოვენის „PEN-ცენტრის“ მდივანი ანდრეი ბლატნიკი.

ინგლისური „PEN-ცენტრი“ საუბრობს თარგმნილი ნაწარმოებების რაოდენობის ზრდაზე, თუმცა მხატვრულ ლიტერატურაში ეს ეხება მხოლოდ ისეთ ბესტსელერებს, როგორებიც ჰარი პოტერი და მის მარფლის სერიები. ინგლისური ესეებისა და პოეზიის თარგმანი უფრო იშვიათია. მაგალითად, ცნობილი თანამედროვე ინგლისელი პოეტის ენდრიუ მოუშენის ლექსები საერთოდ არ არის ნათარგმნი.

რომელ ქვეყანაშია უფრო დიდი არჩევანი - გაერთიანებულ სამეფოში, სადაც ლიტერატურის მხოლოდ 2% ითარგმნება, თუ ბრაზილიაში, სადაც გამოცემული წიგნების თითქმის 90% თარგმანებს წარმოადგენს? არცერთი ვარიანტი არ არის სახარბიელო. ბრიტანელი მკითველი ცხოვრობს ქვეყანაში, რომელშიც ძნელია იშოვო თარგმნილი ნაწარმოები და აღმოაჩინო უცხო ქვეყნის კულტურა. მეორეს მხრივ, ბრაზილიელები კითხულობენ სხვადასხვა ქვეყნის ავტორებს, მაგრამ საკუთარი მწერლების ნაშრომები საერთოდ არ ითარგმნება უცხო ენაზე. პროგრესის მიუხედავად, როგორც ჩანს, ორმხრივი იგნორირება კიდევ დიდ ხანს გასტანს. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ლიტერატურულ თარგმანებზე მოთხოვნა ძალიან მაღალია, და რიგ შემთხვევებში ეს საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას.